საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 103 (647) | ხუთშაბათი, 20 მაისი, 1993 წელი. | ფასი 5 კუპონი.

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობენ, რომ 18 მაისს დღის პირველ ნახევარში მდინარე გუმისთის ფრონტის მთელ ხაზზე სიმშვიდე იყო. 18 საათზე მოწინააღმდეგემ წინა ხაზზე გამოიყვანა ორი ერთეული ქვეითთა მანქანა და ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს. ქართველმა მებრძოლებმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს. პოზიციური ბრძოლები 19 საათსა და 30 წუთამდე გაგრძელდა, რის შედეგადაც მსუბუქად დაიჭრა ორი ქართველი მებრძოლი. 22 საათისათვის შეიმჩნეოდა მოწინააღმდეგის მცდელობა მოეხდინათ ცოცხალი ძალისა და მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია ქვემო ეშერის ტერიტორიაზე, მაგრამ ქართველი არტილერისტები იდენტური საარტილერიო ცეცხლით მათ ამის საშუალებას არ აძლევდნენ. 22 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგემ გახსნა ცეცხლი ტანკებიდან და ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან. ქალაქის ახალ რაიონში აფეთქდა რამდენიმე ჭურვი, ხოლო ორი ჭურვი აფეთქდა ქალაქის ცენტრალურ რაიონში, მაგრამ აფეთქებას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია. 23-დან 24 საათამდე მიმდინარეობდა ორმხრივი ბრძოლები ნაღმსატყორცნებიდან და ავტომატური იარაღებიდან. ამის შემდეგ სროლის ინტენსიობამ იკლო და ღამის პირველი საათისათვის სრულიად შეწყდა. ღამემ მშვიდად ჩაიარა. ასევე სიმშვიდე იგრძნობოდა 19 მაისის 12 საათამდე.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, მოწინააღმდეგე შეეცადა განეხორციელებინა შეტაკება ტამიშსა და ლაბრასთან, მაგრამ ქართველმა მეომრებმა ეს შეტევა მოიგერიეს და მოწინააღმდეგე იძულებული გახდა ცოცხალი ძალების დანაკარგებით უკან დაეხია.

იოსებ გოხეჩია.

აფხაზთა მხარემ კვლავ ცეცხლი დაუშინა სოხუმს

სოხუმი, 19 მაისი. 18 საათზე აფხაზთა მხარემ კვლავ დაუშინა ცეცხლი ქალაქს. „გრადის“ ტიპის რეაქტიული დანადგარებიდან ცენტრალურ უბნებს ესროლეს 40-ზე მეტი ჭურვი. აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს ჯარების პრესცენტრის ცნობით, სოხუმის სამკურნალო დაწესებულებებში კვლავ მოჰყავთ დაზარალებულნი, დაინგრა მრავალი საცხოვრებელი შენობა. ბარბაროსული დაბომბვის მსხვერპლთა და დანგრეული სახლების რიცხვი ზუსტდება.

• • •

20 მაისს თბილისში ჩამოდის გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის სპეციალური დესპანი ბატონი ედუარდ ბრუნერი. დესპანის მანდატი ითვალისწინებს ძალისხმევას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის. საქართველოში გაეროს წარმომადგენელთან ბატონ თეოდორ სტარჩევიჩთან ერთად იგი ეწვევა აფხაზეთს, შეხვდება პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს. ედუარდ ბრუნერთან ერთად თბილისში ჩამოვლენ ექსპერტ-პოლიტიკოსები, სამხედრო და ჰუმანიტარულ საქმეთა ექსპერტები.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

26 მაისის—საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის აღსანიშნავი ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების შესახებ

1918 წლის 26 მაისი სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისია საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. ამ დღეს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა — იგი სუვერენულ უფლებათა მატარებელ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 75 წლისთავთან დაკავშირებით:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს რესპუბლიკაში 26 მაისის — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის საზეიმოდ აღნიშვნა ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში.

2. მოწონებულ იქნეს ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და კულტურის სამინისტროების მიერ 26 მაისის აღსანიშნავად ჩასატარებელ ღონისძიებათა პროგრამა.

3. 1993 წლის 26 მაისს 12 საათზე ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე ჩატარდეს სამხედრო აღლუმი. აღლუმის მომზადება და ჩატარება უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, ქ. თბილისის მერიამ.

4. მოწონებულ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სხვა სამეცნიერო, კულტურული და სასწავლო დაწესებულებების გეგმები საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის — 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობის წარმოჩენისა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მისი ახლებური გააზრების მიზნით კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებათა ჩატარების შესახებ.

ე. შევარდნაძე.

ეს მოლაპარაკება ახალ ფურცელს ჩაწერს ორი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში

ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი სომხეთში

ერევანში ჩასვლისთანავე პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის საუბარი სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ლევონ ტერ-პეტროსიანთან. ამავე დროს მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრები თენგიზ სიგუა და გრანტ ბაგრატიანი, საგარეო საქმეთა მინისტრები ალექსანდრე ჩიკვაიძე და ვაჰან პაპაზიანი, ორი ქვეყნის სხვა მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები.

ხელმოწერილია საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულება, შეთანხმება სომხეთის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის თანამშრომლობის შესახებ, დეკლარაცია ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის საფუძვლთა თაობაზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო და საუწყებათაშორისო შეთანხმებანი სულ სხვადასხვა სფეროში. მათ შორის შეთანხმებები რკინიგზის ტრანსპორტის მოქმედების კოორდინაციის, მოქალაქეთა უვიზო გადაადგილების, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის დარგში თანამშრომლობის, საზღვრებზე საბაჟო პუნქტების გახსნის, 1992 წლის სავალო ვალდებულებათა და მოთხოვნათა რეგულირების წესისა და ვადების შესახებ და სხვა დოკუმენტები. ჯერ კიდევ ახლანდელ ვიზიტამდე საქართველოსა და სომხეთს შორის დაიდო და ხელმოწერილია ხელშეკრულება და შეთანხმებანი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის, საავტომობილო მიმოსვლის, საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ.

დოკუმენტების ახალი პაკეტის ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ და ლევონ ტერ-პეტროსიანმა პრესკონფერენცია გამართეს. ორივე სახელმწიფოს მეთაურებმა აღნიშნეს ამ მოლაპარაკების განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა და ხაზი გაუსვეს იმას, რომ იგი ახალ ფურცელს ჩაწერს ორი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში, სამართლებრივ საფუძველს უქმნის მომავალ ურთიერთობებს. მათ გულახდილად, მეგობრულად ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რომლებიც აღელვებს დღეს საქართველოსა და სომხეთის ხალხებს. ხელმოწერილი დოკუმენტები, რომლებიც პრაქტიკულად ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ყველა სფეროს მოიცავს, ხელს შეუწყობს ტრადიციული მრავალმხრივი კონტაქტების, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებასა და გაღრმავებას. აღინიშნა, რომ მოლაპარაკების დროს სერიოზული შეშფოთება გამოითქვა რეგიონში შექმნილი ვითარების, მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების გამო. ამასთანავე ერთსულოვანი იყო გადაწყვეტილება ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ კონფლიქტების უსწრაფესად მოგვარებას, მშვიდობისა და სტაბილურობის როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანის უზრუნველყოფას, რომელიც ორი სახელმწიფოს წინაშე დგას მათი დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის შექმნისა და ჩამოყალიბების ამ ეტაპზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი სომხეთში კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს არა მარტო ორ ქვეყანას შორის ტრადიციული კეთილმეზობლური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაზე, არამედ თავის როლსაც შეასრულებს ამიერკავკასიაში და მთლიანად კავკასიაში ვითარების სტაბილიზაციის საქმეში, ხელს შეუწყობს როგორც რეგიონალური, ასევე გლობალური პრობლემების გადაწყვეტასაც.

ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ისინი შეთანხმდნენ სისტემატური გახადონ ასეთი შეხვედრები. რეგულარულად შეხვდებიან აგრეთვე ერთმანეთს პარლამენტარები, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები. გადაწყვეტილია შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისიები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ხელმოწერილი დოკუმენტების რეალიზაციას.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაცია თბილისს დაბრუნდნენ.

არმენპრეს-საქინფორმი.

• • •

სურათზე: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი.

ვანო შამანაძის ტელეფოტო
(საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს ფოტოქრონიკა).

ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე...

ზურაბ ავალიშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების გამო



...1944 წლის 21 მაისს, გერმანიაში, ქალაქ შვანდორფში, (ბავარია) პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძესთან ბაასის დროს, გულის შეტევით, უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი სწავლული ზურაბ ავალიშვილი, რომელიც აქ მუშაობდა კონტინენტური ევროპის გამომკვლევი ინსტიტუტის მივლინებით.

...ავალიშვილებმა თურქების მოწოლის გამო შალიკაშვილებთან, დიასამიძეებთან და სხვა გვარებთან ერთად მე-16 საუკუნეში დატოვეს სამცხე-საათაბაგო და ერთი შტო დასახლდა შიდა ქართლში, მეორე კი — კახეთში. ჩვენი მეცნიერი ეკუთვნოდა სწორედ კახელი ავალიშვილების შტოს, მამამისი — დავით ავალიშვილი ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი ავალიშვილის შთამომავალი, ადრე სამხედრო იურისტი და ნაფიცი ვექილი, თადარიგში გასვლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დირექტორად მსახურობდა. დედა — ოლღა ედუარდის ასული გახლდათ კავკასიაში (ცნობილი შვიდი ექიმის ედუარდ ჰოლმბლატის ქალიშვილი (მიხეილ ვორონცოვის დროს მას კავკასიის მხარის სამედიცინო ნაწილის გამგის თანამდებობა ეკავა).

ზურაბ ავალიშვილი დაიბადა 1875 წელს (სხვა ცნობით — 1876 წელს). საშუალო განათლება მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში, ხოლო უმაღლესი — პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში მასთან ერთად სწავლობდნენ და მეგობრობდნენ არჩილ ჯორჯაძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სამსონ ფირცხალავა, არჩილ დიასამიძე, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ ბარათაშვილი, ილია ნაკაშიძე, რომლებიც ტრიალებდნენ რუსეთის სატახტო ქალაქის სამეცნიერო და სალიტერატურო წრეებში და ნიჭიერი ახალგაზრდების სახელი ჰქონდათ გავარდნილი.

1900 წელს ზ. ავალიშვილმა პირველი ხარისხის დიპლომითა და ოქროს მედლით დაამთავრა უნივერსიტეტი (მისი სადიპლომო შრომა გახლდათ გამოქვეყნებული გამოკვლევა „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, სპბ. 1901), და საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს სახელმწიფო სამართლის კათედრაზე, ხოლო სამი წლით მივლინებულ იქნა პარიზში, სადაც მონაწილეობას იღებდა ქართველი სოციალ-ფედერალისტების გაზეთ „საქართველოს“ მუშაობაშიც.

1903 წელს ზ. ავალიშვილი დაბრუნდა პეტერბურგში და შეუდგა უნივერსიტეტში ლექციების კითხვას, როგორც პრივატ-დოცენტი, ხოლო 1904 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია, რის გამოც, სახელგანთქმულმა აკადემიკოსმა მაქსიმ კოვალევსკიმ (ილიას მეგობარმა) მას „სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ამომავალი ვარსკვლავი“ უწოდა. მალე ზ. ავალიშვილი პროფესორი და რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტროს იურისკონსულტი გახდა, ხოლო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ იგი დანიშნა პირველ სახელმწიფო დეპარტამენტში სენატორად. მაშინ ზ. ავალიშვილმა რამდენიმე ეროვნული საქმის მოგვარებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა: ჯერ იყო და, ივანე ჯავახიშვილთან ერთად სინოდის ობერპროკურორთან დიდი ომი გადაიხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თაობაზე, ხოლო პეტერბურგის კინოთეატრ „ილიტში“ თავმჯდომარეობდა ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულ იმ კრებას, რომელზედაც ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა ცნობილი მოხსენება თბილისში მომავალი უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე.

1918 წელს ზ. ავალიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, სადაც იგი ეროვნულმა მთავრობამ მოიწვია კონსულტანტად საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში. მალე მას დიპლომატიური მისიით ვხედავთ გერმანიაში, შემდეგ — საფრანგეთში. 1921 წლიდან ზ. ავალიშვილი ემიგრაციაშია. მას ცოლად ჰყავდა ნორვეგიელი ქალი მაია ფოგტი, — ახლო ნათესავი გამოჩენილი ქართველოლოგის, ოსლოს უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ჰანს ფოგტისა.

უცხოეთში ყოფნის პერიოდში (1921 -1944 წ.წ.), ზურაბ ავალიშვილი პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობის ნაცვლად სიკვდილამდე მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ამერიკის არქივებსა და სიძველეთსაცავებში საქართველოს ისტორიის ახალი წყაროების, უცხოეთში მოხვედრილი ქართული კულტურის ნაშთების გამოსავლენად.

პირველი დიდი შრომა „საქართველოს დამოუკიდებლობა...“, ზ. ავალიშვილმა 1924 წელს გამოსცა პარიზში რუსულ ენაზე. (წიგნი მაშინვე ითარგმნა ქართულად და გამოიცა თბილისში, შალვა ელიავას რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1925, 1929, წ.წ., ხოლო 1940 წელს ლონდონში გამოქვეყნდა მისი ინგლისური თარგმანიც). ამას ზედიზედ მოჰყვა ზ. ავალიშვილის ორი შესანიშნავი შრომა, რომლებიც ქართულ ენაზე დაიბეჭდა პარიზში: „ჯვაროსანთა დროიდან“ (1929 წ.), და „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (1931 წ.), ცოტა მოგვიანებით ასევე ქართულ ენაზე პარიზში გამოქვეყნდა ზ. ავალიშვილის ახალი ნაშრომი „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ (1938 წ.), რომლის ინგლისური ვარიანტი ლონდონში „გეორგიკაში“ დაიბეჭდა 1937 წელს. ზ. ავალიშვილის ასევე დიდად საყურადღებო ნაკვლევი დავით კურაპალატის შესახებ 1933 წელს გამოქვეყნდა ბრიუსელში. ამათ გარდა, მისი მეტად საინტერესო შრომები ქვეყნდებოდა როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე საზღვარგარეთის ფრიად ავტორიტეტულ სამეცნიერო ორგანოებში — პარიზში, ლონდონში, ბერლინში და სხვაგან. ზ. ავალიშვილის არქივთან ერთად, მათი მოძიება-თავმოყრა, სრული აღნუსხვა და გამოცემა ქართული მეცნიერების გადაუდებელი საქმეა.

...რამდენიმე დღეში საქართველო სამუდამოდ მიიბარებს მისთვის თავდადებული დიდი მეცნიერ-ისტორიკოსის დაღლილ ძვლებს.

ზურაბ ავალიშვილის სახელს და მეცნიერულ მემკვიდრეობას მარადიული სიცოცხლე უწერია!..

გურამ შარაძე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ზურაბ ავალიშვილის ნეშტის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეიქმნას ზურაბ ავალიშვილის ნეშტის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — ედუარდ შევარდნაძე,
თავმჯდომარის მოადგილე — თენგიზ სიგუა.

წევრები:

აკაკი ბაქრაძე, კონსტანტინე გაბაშვილი, თამაზ გამყრელიძე, ვახტანგ გოგუაძე, ალბერტ თავხელიძე, კონსტანტინე კემულარია, გიორგი მელიქიშვილი, როინ მეტრეველი, მიხეილ ნანეიშვილი, თევდორე ნინიძე, მინდია უგრეხელიძე, ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 18 მაისი.

ნომერში

◎ გაშიფრული მაგნიტოფირი. 2
◎ „შინაური მამლუქობა“, ანუ უწყვეტი სპექტაკლი. 4

სტუმრად მეზობელ ქვეყანაში

19 მაისს დილით სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაფრინდა საქართველოს სახელმწიფო დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან საქართველოს პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

ვიზიტი ერთდღიანია და ორი მეზობელი ქვეყნის მეთაურები — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე და სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი ხელს მოაწერენ საქართველოსა და სომხეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუშიშროების ხელშეკრულებას. ხელმოწერილი იქნება აგრეთვე სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულებები, რომლებიც ორი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას და გაფართოებას ეხება.

ერევანში ორი მეზობელი ქვეყნის — საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო ლიდერთა შეხვედრებს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და ამ ფაქტს ეს ვიზიტი ისტორიულ მოვლენათა რანგში აჰყავს. პირველ რიგში — სომხეთთან მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუშიშროების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველო, ფაქტობრივად, ამთავრებს თავისი საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირების პირველ ეტაპს — თანასწორუფლებიან სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებს თავის ყველა უშუალო მეზობელ სახელმწიფოსთან (რუსეთის გარდა, რომელთანაც მოლაპარაკებანი გრძელდება. და მეორეც — ჩვენი ქვეყანა განაგრძობს კავკასიაში რეგიონალური კონფლიქტების „კავკასიის ფაქტორის“ ამოქმედებით მოგვარების იდეის ხორცშესხმას, იდეისა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა წამოაყენა და რომლის განხორციელებისათვის პირველი ნაბიჯები გადაიდგა ჯერ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, შემდეგ კი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გამართული შეხვედრების დროს.

• • •

საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით დღეს სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ერევანში ჩავიდა.

ერევნის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი, რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გრანტ ბაგრატიანი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვაჰან პაპაზიანი, სხვა ოფიციალური პირნი.

ერევანში გამგზავრების წინ, თბილისის აეროპორტში სახელმწიფოს მეთაურმა საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ამ ვიზიტს, აღნიშნა, რომ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისმა შედეგებმა სასიკეთო ზეგავლენა უნდა მოახდინოს პირველ რიგში საქართველო-სომხეთის ურთიერთობებზე, აგრეთვე მთელი რეგიონის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებაზე. ეს ვიზიტი შეიძლება კავკასიის სამი რესპუბლიკის ლიდერთა ერთობლივი მოლაპარაკებების დაწყების საფუძველი გახდეს.

ერევნიდან გვაცნობენ, რომ უკვე დამთავრდა საუბარი ედუარდ შევარდნაძესა და ლევონ ტერ-პეტროსიანს, თენგიზ სიგუასა და გრანტ ბაგრატიანს, ალექსანდრე ჩიკვაიძესა და ვაჰან პაპაზიანს შორის.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის და ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ამოცანების გადასაწყვეტად კერძო მეწარმეების ძალისხმევის გაერთიანებისათვის, საქართველოს საქმიანი წრეების ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით:

1. საქართველოში კერძო მეწარმეობის განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა მიჩნეულ იქნეს ერთ-ერთ უპირველეს სახელმწიფოებრივ ამოცანად;

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააჩქაროს საქართველოში კერძო მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება-დამტკიცება და მისი განხორციელების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება;

ამ პროგრამის ძირითად მიმართულებებად განისაზღვროს:

— კერძო მეწარმეობის, მათ შორის უცხოური კაპიტალის, დაცვის მყარი სამართლებრივი გარანტიების შექმნა;

— სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

— პრივატიზაციის რეალური დაჩქარება საერთაშორისო გამოცდილების ყოველმხრივი გათვალისწინებით;

— მენეჯერთა კადრების მიზნობრივი მომზადება, მათი ეკონომიკური და სამართლებრივი ცოდნის ამაღლება;

— სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების, დაკრედიტებისა და დაზღვევის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;

— მცირე ბიზნესის, მათ შორის სოფლად საოჯახო და ფერმერული მეურნეობების, განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების შექმნა;

— მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნებზე ორიენტირებული წარმოების საშუალებათა ბაზრის ფორმირება.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყოს:

— ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის რეალური ამოქმედებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული და ნორმატიული გადაწყვეტილებების ოპერატიული მიღება; კონკურენტული გარემოს შექმნის ღონისძიებათა თანმიმდევრული განხორციელება;

— კერძო მეწარმეების სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების რეალიზაციაში, სახელმწიფო საინვესტიციო, საკრედიტო და სხვა პროგრამებში მონაწილეობა; კერძო სექტორის მიერ შესაბამისი ლიცენზიების და კვოტების, კრედიტების, მათ შორის უცხოური ვალუტით, მიღების საკონკურსო და სააუქციონო პრაქტიკის ათვისება;

— საგადასახადო სისტემის შეცვლის პროექტის მომზადებისას საგადასახადო დატვირთვის შემცირება და რაციონალიზაცია, გადასახადების ამოღების მექანიზმის გამარტივება, წარმოების განვითარების, შემოსავლების პრიორიტეტულ დარგებსა და სფეროებში ინვესტიციებზე წარმართვის სათანადო სტიმულის შექმნა.

4. ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებმა:

— განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები რეგიონებში სამეწარმეო აქტივობის ასამაღლებლად, სოფლად საოჯახო და ფერმერული მეურნეობების განვითარების უზრუნველმყოფი მომსახურების ინფრასტრუქტურის დაჩქარებული ფორმირებისათვის;

— მიიღონ გადამჭრელი ზომები საწარმოთა რეგისტრაციის, სამეწარმეო საქმიანობისათვის სათანადო ფართისა და მიწის ნაკვეთების გამოყოფისას არსებული დარღვევების აღმოფხვრისა და იმ მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის, რომლებიც ხელოვნურად აფერხებენ ჯანსაღი მეწარმეობის განვითარებას რეგიონებში;

— აქტიურად ჩააბან კერძო მეწარმეები ადგილობრივი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

ე. შევარდნაძე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს განცხადება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ამა წლის 14 მაისის მოსკოვის მორიგებათა შესაბამისად აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები წყვეტენ ცეცხლს ამა წლის 20 მაისის ნოლი საათიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს
თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი
თამაზ ნადარეიშვილი.

სოხუმი. 1993 წლის 19 მაისი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სახელმწიფო ხარჯით დაკრძალვისა და მათი საფლავების მოწყობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა, მოხალისეთა, შინაგან საქმეთა ორგანოების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკთა და მოქალაქეთა დაკრძალვა და მათი საფლავების მოწყობა მოხდეს სახელმწიფო ხარჯით.
2. დაევალოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განახორციელოს ამ დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებანი.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
„გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო კონვენციას „გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ".

ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ვალერიან ადვაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუწყდეს ვალერიან ადვაძეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის გამო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
მე-5 საარჩევნო ოლქში პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ცნობილ იქნეს მე-5 საარჩევნო ოლქში პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ვალერიან ადვაძის ადგილმონაცვლის თეიმურაზ კოპალეიშვილის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ნუგზარ კვაშაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუწყდეს ნუგზარ კვაშაძეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 18 მაისი.

შეხვედრა პარლამენტის სპიკერთან

19 მაისს, პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვან ფენსიანი. საუბრის დროს მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს ჩინეთსა და საქართველოს შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებაზე. ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ ისაუბრა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. საუბარი შეეხო აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მოსალოდნელ ვიზიტს ჩინეთში. სტუმარმა აღნიშნა, რომ ჩინეთის მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ვიზიტს, რომელიც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მომავალი ურთიერთობების განმტკიცებას.

შეხვედრის ბოლოს ელჩმა მადლობა გადაუხადა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს გულთბილი მიღებისათვის.

პარლამენტის პრესცენტრი.

შეიქმნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლობა
მის ფუნქციებში არ შედის ჩარევა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა სამეურნეო და ადმინისტრაციულ-განმკარგულებელ საქმიანობაში

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება რაიონებში (ქალაქებში) პარლამენტის წარმომადგენლობების შექმნის თაობაზე. თუ რა ფუნქცია ეკისრება მათ, ეს ახლა ბევრს აინტერესებს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის პრესცენტრის კორესპონდენტმა ნაზი ლონტმა რამდენიმე კითხვით მიმართა პარლამენტის აპარატის უფროსს ჯამლეტ ბიბაშვილს.

— **გთხოვთ განმარტოთ ამ ახლადშექმნილი ორგანოს დანიშნულება და მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.**

— ეს გახლავთ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლობა, რომელიც თავის საქმიანობას შესაბამისი საარჩევნო ოლქის მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს. წარმომადგენლობის მუშაკებს ნიშნავს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ამ ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის წარდგინებით.

რაც შეეხება წარმომადგენლობის მუშაობის ძირითად მიმართულებებს, მისი მუშაკები მოწოდებულნი არიან ორგანიზაცია გაუწიონ პარლამენტის წარმომადგენლობაში მოქალაქეთა მიღებას, ამომრჩევლებთან პარლამენტის წევრთა შეხვედრებს, მოამზადონ შესაბამისი საინფორმაციო მასალები პარლამენტის წევრებისათვის, იმუშაონ წარმომადგენლობაში შემოსული მოქალაქეთა საჩივრების, წერილების განხილვისა და მათზე დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად, ხელი შეუწყონ პარლამენტის წევრების თანამშრომლობას ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან.

— **როგორ წარმართავს პარლამენტის წარმომადგენლობა მუშაობას მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის?**

— პარლამენტის წარმომადგენლობაში მოქალაქეთა მიღებას აქვს ორი დამახასიათებელი თავისებურება: ერთი — როცა პარლამენტის წევრი ადგილზეა, მეორე — როცა იგი არ არის.

როდესაც პარლამენტის წევრი ადგილზე იმყოფება, იგი უშუალოდ იღებს მოქალაქეებს და წყვეტს მათ მიერ დასმულ საკითხებს, ხოლო თუ პარლამენტის წევრი ადგილზე არ არის, მაშინ მოქალაქეთა მიღებას ორგანიზაციას უკეთებს პარლამენტის წარმომადგენლობა. იმის მიხედვით, თუ რა საკითხზეა მოქალაქე მოსული, წარმომადგენლობა საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე გამოითხოვს აუცილებელ ინფორმაციას ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან და მათთან შეთანხმებით შეეცდება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა-მოწესრიგებას.

— **ალბათ წარმომადგენლობის ამოცანა ისიც იქნება, რაც შეიძლება განმტკიცდეს და გაღრმავდეს პარლამენტის წევრთა კონტაქტები ოლქის ამომრჩევლებთან...**

— რა თქმა უნდა, პარლამენტის წარმომადგენლობის მუშაკებმა უნდა მოაწყონ პარლამენტის წევრების საინფორმაციო შეხვედრები ამომრჩევლებთან, სადაც მათ მიაწვდიან ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის საქმიანობის, მიღებული კანონებისა და დადგენილებების, მათ განსახორციელებლად დასახული საჭირო ღონისძიებებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ. ცხადია, ამ დროს პარლამენტის წევრებიც უშუალოდ ამომრჩევლებისაგან იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას რაიონში (ქალაქში) არსებული პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კრიმინოგენული ვითარების შესახებ, აგრეთვე, იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას.

შემდეგ, ეს გახლავთ პარლამენტის წევრთა შეხვედრა ამომრჩევლებთან ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის ან საკითხის გადასაწყვეტად. ასეთ შეხვედრებში, ჩვენი აზრით, უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე — პარლამენტის წევრი, რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამომრჩევლები, წარმომადგენლობის მუშაკები და ა. შ.

— **წარმომადგენლობის აპარატი უთუოდ შეუწყობს ხელს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, აგრეთვე პოლიტიკურ ორგანიზაციებთან პარლამენტის წევრთა თანამშრომლობას...**

— რა თქმა უნდა. როგორც წესი, პარლამენტის წარმომადგენლობის მეშვეობით რაიონის (ქალაქის) ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობს არა მარტო მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრი, არამედ აღნიშნულ საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის ყველა წევრი. თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები შემდეგია: უპირველესად, ეს არის პარლამენტის წევრთა შეხვედრები რაიონის (ქალაქის) გამგეობაში, ადგილობრივ საკრებულოებში ამომრჩეველთა მიერ დასმული კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად.

ასეთი შეხვედრები მიმდინარეობს საქმიანი თანამშრომლობის ვითარებაში და ითვალისწინებს კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის დახმარებას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი.

ასეთი შეხვედრების ორგანიზაცია, როგორც წესი, პარლამენტის წარმომადგენლობის მუშაკთა მოვალეობაა.

შემდეგ, პარლამენტის წევრთა ადგილზე არყოფნის დროს, საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკები ხვდებიან რაიონის (ქალაქის) გამგეობის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაკებს, იღებენ სათანადო ინფორმაციას და მათთან ერთად შეიმუშავებენ კონკრეტულ წინადადებებს ამა თუ იმ პრობლემისა თუ საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

წარმომადგენლობის მუშაკები ორგანიზაციას უწევენ რაიონის (ქალაქის) გამგეობის მიერ გამართულ მასობრივ ღონისძიებებში საქართველოს პარლამენტის წევრთა მონაწილეობას.

წარმომადგენლობა ხელს უწყობს პარლამენტის წევრების კონტაქტების განმტკიცებას რაიონში (ქალაქში) არსებულ პოლიტიკურ პარტიებთან და ორგანიზაციებთან. ისინი პერიოდულად ხვდებიან ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, იღებენ მათგან პარლამენტის წევრებისათვის საინტერესო ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში აწყობენ პარლამენტის წევრთა შეხვედრებს ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ადგილებზე.

და, ბოლოს, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ პარლამენტის წარმომადგენლობის მუშაკები დებულების შესაბამისად არ უნდა ჩაერიონ ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა ადმინისტრაციულ-განმკარგულებელსა და სამეურნეო საქმიანობაში.

კონვენცია გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ

ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის 1946 წლის 11 დეკემბრის 96 (I) რეზოლუციაში გამოაცხადა, რომ გენოციდი არის დანაშაული, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არსსა და მიზნებს, და რომ ცივილიზებული სამყარო გმობს მას;

ცნობენ, რომ მთელი ისტორიის მანძილზე გენოციდს დიდი დანაკარგი მოჰქონდა კაცობრიობისათვის; და

დარწმუნებული არიან, რომ ამ საზიზღარი უბედურებისაგან კაცობრიობის ხსნისათვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა;

შეთანხმდნენ, როგორც ეს გათვალისწინებულია ქვემოთ:

მუხლი 1

ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ გენოციდი მიუხედავად იმისა, თუ როდის ხდება იგი, მშვიდობიან თუ ომიანობის დროს, წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რომლის წინააღმდეგ ისინი ვალდებული არიან წინასწარ მიიღონ ზომები და დასაჯონ მისი ჩადენისათვის.

მუხლი 2

ამ კონვენციაში გენოციდად იგულისხმება შემდეგი მოქმედებანი, რომლებსაც სჩადიან იმ განზრახვით, რომ მოსპონ მთლიანად ან ნაწილობრივად, რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფები:

ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;

ბ) ასეთი ჯგუფის წევრებისათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან გონებრივი მოშლილობის მიყენება;

გ) რომელიმე ჯგუფისათვის წინასწარგანზრახვით ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც მიმართულია მისი ფიზიკური განადგურებისაკენ, მთლიანად ან ნაწილობრივად;

დ) ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შვილოსნობის არიდება ასეთი ჯგუფის წრეში;

ე) ბავშვთა იძულებითი გადაცემა ერთი ჯგუფიდან მეორეში.

მუხლი 3

დაისჯება შემდეგი ქმედობა:

ა) გენოციდი;

ბ) შეთქმულება გენოციდის ჩადენის მიზნით;

გ) პირდაპირი და საჯარო წაქეზება გენოციდის ჩადენისათვის;

დ) გენოციდის ჩადენის მცდელობა;

ე) თანამონაწილეობა გენოციდში.

მუხლი 4

ის პირნი, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი ან III მუხლში ჩამოთვლილი რაიმე სხვა ქმედობა, დასჯილ უნდა იქნენ, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი კონსტიტუციის მიხედვით პასუხისმგებელი მმართველნი, თანამდებობის ან კერძო პირნი.

მუხლი 5

ამ კონვენციის დებულებათა ამოქმედებისათვის ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან განახორციელონ საჭირო კანონმდებლობა, თითოეულმა თავისი კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად, და, კერძოდ, გაითვალისწინონ ეფექტიანი ღონისძიებანი იმ პირთა დასასჯელად, რომლებსაც ბრალი მიუძღვით გენოციდის ან III მუხლში ნახსენებ სხვა დანაშაულის ჩადენაში.

მუხლი 6

ის პირნი, რომლებსაც ბრალი ედებათ გენოციდის ან III მუხლში ჩამოთვლილ სხვა ქმედობათა ჩადენაში, გასამართლებულ უნდა იქნენ იმ სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა ეს ქმედობა, ან ისეთი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს იურისდიქცია ამ კონვენციის მხარეთა მიმართ, რომლებმაც იცნეს ასეთი სასამართლოს იურისდიქცია.

მუხლი 7

დამნაშავეთა გაცემის მხრივ გენოციდი და III მუხლში ჩამოთვლილი სხვა ქმედობა არ განიხილება როგორც პოლიტიკური დანაშაული.

ასეთ შემთხვევებში ხელშემკვრელი მხარეები მოვალენი არიან განახორციელონ გაცემა თავიანთი კანონმდებლობისა და მოქმედი ხელშეკრულებების შესაბამისად.

მუხლი 8

ამ კონვენციის თითოეულ მონაწილეს შეუძლია მიმართოს გაერთიანებული ერების შესაბამის ორგანოს და მოსთხოვოს, რომ მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად, მიიღოს ყველა, მისი აზრით საჭირო ღონისძიება იმ მიზნით, რომ აუცილებლად აღიკვეთოს გენოციდის აქტები ან III მუხლში ჩამოთვლილი სხვა რომელიმე ქმედობა.

მუხლი 9

ხელშემკვრელ მხარეთა შორის დავა ამ კონვენციის განმარტების, გამოყენების ან შესრულების საკითხებზე, იმ დავათა ჩათვლით, რომლებიც წარმოიშობა ამა თუ იმ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ გენოციდის ან III მუხლში ჩამოთვლილთაგან სხვა რომელიმე ქმედობის ჩადენისათვის, გადაეცემა საერთაშორისო სასამართლოს განსახილველად დავაში მონაწილე ყოველი მხარის მოთხოვნით.

მუხლი 10

ეს კონვენცია, რომლის ინგლისური, ჩინური, ესპანური, ფრანგული და რუსული ტექსტები თანაბრად აუთენტურია, დათარიღებულია 1948 წლის 9 დეკემბრით.

მუხლი 11

ეს კონვენცია გახსნილი იქნება ხელის მოსაწერად 1949 წლის 31 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი წევრის და ყოველი იმ სახელმწიფოს სახელით, რომელიც არ ირიცხება ორგანიზაციის წევრად და მიიღო გენერალური ასამბლეის მოწვევა კონვენციაზე ხელის მოსაწერად.

კონვენცია უნდა იქნეს რატიფიცირებული და რატიფიკაციის აქტები დეპონირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

დაწყებული 1950 წლის 1 იანვრიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველ წევრს და ყოველ სახელმწიფოს, რომელიც არ ირიცხება ამ ორგანიზაციის წევრად და მიიღო ზემოაღნიშნული მოწვევა, შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას.

აქტები შეერთების შესახებ დეპონირებულ უნდა იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

მუხლი 12

ყოველ ხელშემკვრელ მხარეს, როდესაც უნდა, შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით გაავრცელოს ამ კონვენციის გამოყენება ყველა ან ზოგიერთ ტერიტორიაზე, რომელთა საგარეო ურთიერთობების წარმოებისათვის იგია პასუხისმგებელი.

მუხლი 13

იმ დღეს, როცა გენერალურ მდივანთან დეპონირებული იქნება პირველი ოცი აქტი რატიფიკაციის ან შეერთების შესახებ, გენერალური მდივანი ამზადებს ოქმს, რომლის ასლები ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და IX მუხლით გათვალისწინებულ ყველა სახელმწიფოს, რომლებიც ორგანიზაციის წევრებად არ ირიცხებიან.

ეს კონვენცია ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს, დაწყებული რატიფიკაციის ან შეერთების მეოცე აქტის დეპონირების დღიდან.

რატიფიკაციის და შეერთების აქტები, რომლებიც მიღებულია ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, მოქმედებაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს დაწყებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან მათი დეპონირების დღიდან.

მუხლი 14

ეს კონვენცია მოქმედებს ათი წლის განმავლობაში, დაწყებული მისი ძალაში შესვლის დღიდან.

იგი ძალაში რჩება შემდგომი ხუთი წლისათვის იმ ხელშემკვრელ მხარეთა მიმართ, რომლებიც არ აცხადებენ მის დენონსაციას მისი მოქმედების შესაბამისი ვადის გასვლამდე სულ მცირე ექვსი თვით ადრე.

დენონსაცია წარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გზით.

მუხლი 15

თუ დენონსაციის შედეგად ამ კონვენციის მონაწილეთა რიცხვი თექვსმეტზე ნაკლები გახდება, კონვენცია წყვეტს თავის მოქმედებას უკანასკნელი დენონსაციის ძალაში შესვლის დღეს.

მუხლი 16

მოთხოვნა ამ კონვენციის გადასინჯვის შესახებ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ყოველ დროს ხელშეკრულების დამდები ყოველი მხარის მიერ გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გზით.

გენერალური ასამბლეა გადაწყვეტს, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო ასეთი მოთხოვნის მიმართ, თუ კი იგი საჭიროდ მიიჩნევს რაიმე ზომების მიღებას.

მუხლი 17

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს და მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანიზაციის წევრებად არ ირიცხებიან:

ა) ხელის მოწერის, რატიფიკაციისა და შეერთების ყველა აქტის შესახებ, რომლებიც მიღებულია მე-11 მუხლის შესაბამისად;

ბ) ყველა განცხადების შესახებ, რომლებიც მიღებულია მე-12 მუხლის შესაბამისად;

გ) ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღის შესახებ მე-13 მუხლის შესაბამისად;

დ) დენონსაციების შესახებ, რომლებიც მიღებულია მე-14 მუხლის შესაბამისად;

ე) კონვენციის გაუქმების შესახებ მე-15 მუხლის შესაბამისად;

ვ) განცხადებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია მე-16 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 18

ამ კონვენციის დედანი დეპონირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში.

კონვენციის შემოწმებული ასლები ეგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს და მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ორგანიზაციის წევრებად არ ირიცხებიან.

მუხლი 19

ამ კონვენციას რეგისტრაციაში ატარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მისი ძალაში შესვლის დღეს.

მოვლენის კვალზე

გაშიფრული მაგნიტოფონი

(მოსკოვი, 14 მაისი)

არმაზ სანებლიძე

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია, რომელიც მან 14 მაისს რუსეთის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს საელჩოში გამართა, ტელევიზიით გადაიცა. ცხადია, ჩვენი მკითხველი იცნობს მის ძირითად და მთავარ ნაწილს — ბატონ ედუარდ შევარდნაძის განცხადებას.

ასეთი ღონისძიების საგაზეთო ანგარიშს მოკლე წინადადება დაასრულებს ხოლმე: პრესკონფერენციის ბოლოს ამან და ამან უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვას.

დავარღვიოთ ეს ტრადიცია. უპრიანიც იქნება, მგონი.

5. კარგი პარლამენტი გვყავს

მაშ, ასე: 14 მაისის პრესკონფერენციის შეკითხვები და პასუხები. (სამწუხაროდ, ზოგიერთმა ჟურნალისტმა არ დაასახელა პრესის ორგანო, ტელეკომპანია თუ საინფორმაციო სააგენტო, რომელსაც წარმოადგენდა. მკითხველმა გვაპატიოს ეს უნებური წუნი).

— **საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ თქვენს რეგულარულ რადიოინტერვიუში განაცხადეთ, — პრეზიდენტ ელცინთან შეხვედრის დროს განზრახული გაქვთ წამოაყენოთ გაეროს ეგიდით უკრაინის ჯარების, როგორც აფხაზეთში მშვიდობისმყოფელი კონტინგენტის, მონაწილეობის იდეა. გააკეთეთ ის, რასაც ამბობდით?**

— ჩვენ აზრი გამოვთქვით ზოგადად. კიევში მოვილაპარაკეთ, და მე მადლობელი ვარ პრეზიდენტ კრავჩუკისა, რომელიც მზადაა, რომ, თუ საჭირო გახდა, ჩაერთოს ამ კონფლიქტის მოგვარებაში გაეროს ეგიდით უკრაინის მშვიდობისმყოფელი ძალების გამოყენებითაც კი. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, ჩვენ განვაცხადეთ, რომ უკრაინის თუ სხვა სახელმწიფოების ამგვარი მონაწილეობა სასარგებლო იქნება. ამ საკითხში არც რუსეთსა და არც საქართველოს პრობლემები არ შეგვქმნია.

— **არის კი ამის გაკეთების აუცილებლობა?**

— აი, სწორედ ამიტომაა გამოყოფილი რუსეთის პრეზიდენტისა და ჩემი სპეციალური წარმომადგენლები, ისინი შეისწავლიან ყველა მოსაზრებას და მოამზადებენ წინადადებებს. 20 მაისს ჩამოვა გაეროს უშიშროების საბჭოს მისია, ეს საკითხები პრაქტიკულ პლანში განიხილება და გადაწყდება.

— **„ლოს ანჯელეს ტაიმსი". ბატონო შევარდნაძე, პრინციპულად თანახმაა თუ არა რუსეთი გამოიყვანოს თავისი ჯარები საერთოდ საქართველოდან, კერძოდ აფხაზეთიდან, და კონფლიქტის დამთავრების შემდეგ დახუროს თავისი სამხედრო ბაზები?**

და მეორე შეკითხვა: რით შეიძლება აიხსნას საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილებზე უკანასკნელ დროს გახშირებული თავდასხმები და რა ღონისძიებები განხორციელდება მათ ასაკვეთად?

— ჯარების გამოყვანის საკითხი პრინციპულად გადაწყვეტილია. ჯერჯერობით ხელშეკრულება ხელმოწერილი არაა, მაგრამ ხელშეკრულების ტექსტი მომზადებულია, შეთანხმებულია ყველა უწყებასთან, განსაზღვრულია საორიენტაციო ვადები, მოხსენდა შესაბამის პარლამენტებს, ყოველ შემთხვევაში, — ჩვენსას. შედგენილია გაყვანის გრაფიკი და იგი უკვე მოქმედებს: ისე რომ, პრინციპული გადაწყვეტილება ჯარების გაყვანის შესახებ არავითარ ეჭვს არ იწვევს.

— **ეს იქნება სრული გაყვანა და ბაზებიც დაიხურება?**

— დიახ, სრული გაყვანაა.

— **ბაზები?**

— როდესაც ჯარზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ბაზებიც და ყველა თანმდევი სტრუქტურაც.

რაც შეეხება ზოგიერთ ინციდენტს, ჩვენ, ბუნებრივია, გამოვთქვით სინანული მათ გამო და ასევე ბუნებრივია, რომ განვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა არ განმეორდეს მსგავსი რამ. ამასთან, აუცილებელია დაჩქარდეს ყველა ცნობილი ხელშეკრულების, ყველა შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც მომზადებულია, მათ შორის რუსეთის ჯარის სტატუსის შესახებ, რომელიც დროებით იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ვფიქრობ, რომ ამ შეთანხმებათა ხელმოწერის შემდეგ მათი ყოფნის პირობები გაუმჯობესდება.

— **„მოსკოვსკიე ნოვოსტი". ბატონო შევარდნაძე, თქვენ განაცხადეთ, რომ მიაღწიეთ შეთანხმებას კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკის გაყვანის, დაბომბვების შეწყვეტის შესახებ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ რუსეთის მხარემ აღიარა თავისი მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში?**

— საკითხი ასე არ იდგა. ჩვენ ვცდილობდით ნაკლები გვეკამათა და ერთმანეთისათვის ნაკლები პრეტენზიები წაგვეყენებინა. ჩემი აზრი კი ამის თაობაზე, ჩემი განცხადებები თქვენთვის ცნობილია.

— **გუდაუთის ხელმძღვანელობასთან თქვენი კონტაქტების შესაძლებლობის შესახებ რა აზრის ხართ?**

— კვლავ ვადასტურებ იმას, რაც არაერთხელ მითქვამს: მზად ვართ მეც და ყველა ჩემი კოლეგა, ნებისმიერ დროს გავმართოთ დიალოგი გუდაუთის დაჯგუფებასთან, გუდაუთის, ვთქვათ ასე, მთავრობასთან. არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი კონტაქტი ჩვენსა და გუდაუთის წარმომადგენლებს შორის დღესაც განხორციელდეს, შესაძლოა, უკვე შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს.

— **საქართველოს ტელევიზია. რეფერენდუმამდე ბატონი ელცინი გარკვეულად მკაცრ შეფასებებს აძლევდა საქართველოს მხარეს. ამჟამინდელი მისი გამონათქვამების სირბილე, აგრეთვე თქვენი დღევანდელი შეხვედრის განწყობილება ხომ არ განსაზღვრა რეფერენდუმზე გამარჯვებამ?**

— არ ვიტყოდი, რომ რუსეთის პრეზიდენტი განსაკუთრებულ სიმკაცრეს გამოხატავდა საქართველოს მიმართ. ვფიქრობ, რომ რეფერენდუმის შემდეგ მას შესაძლებლობა მიეცა ყურადღება გადაეტანა სხვა პრობლემებზეც, კერძოდ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე. მისი კეთილგანწყობილება, კარგი დამოკიდებულება ჩვენდამი, რა თქმა უნდა, ბევრად განაპირობა რეფერენდუმზე გამარჯვებამ.

— **ბატონო ედუარდ, ფლობს თუ არა ბატონი ელცინი ინფორმაციას სოხუმის დაბომბვების შედეგად დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის, რუსი ეროვნების ადამიანების შესახებ?**

— ვფიქრობ, რომ იგი ფლობს ამ ინფორმაციას, ყოველ შემთხვევაში, მე მას ვაცნობე ამის შესახებ, რიცხვებიც დავუსახელე.

— **იტარ-ტასი. თქვენ თქვით, რომ რუსეთ-საქართველოს გართულებულ ურთიერთობაში დათბობაზე უფრო მეტს მიაღწიეთ. პირველი და აუცილებელი რა ნაბიჯები უნდა გადადგას რუსეთმა და საქართველომაც ამ ურთიერთობის გასაუმჯობესებლად?**

— პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, იმ მოლაპარაკებათა რეალიზაციაა, რომლებიც უკვე მიღწეულია: ცეცხლის შეწყვეტა, მძიმე ტექნიკის გაყვანა...

— **რუსეთის მხარემ უნდა გააკეთოს ეს?**

— რუსეთმაც. პირდაპირ გეტყვით: ცეცხლის რეალური შეწყვეტა, დღეისთვის მაინც, რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ტექნიკის გაყვანა რუსეთსაც შეეხება, რადგან იქ მარტო აფხაზური მხარის ტექნიკა არ დგას.

ახლა გვჭირდება პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება, პირადი წარმომადგენლების აქტიური მუშაობა, სამინისტროთა და უწყებათა ამოქმედება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთთან კავშირში იმუშაონ თავდაცვის სამინისტროებმა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ჰკითხეს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისადმი მისი დამოკიდებულებისა და ამ თანამეგობრობაში შემავალ რესპუბლიკებთან საქართველოს თანამშრომლობის, ჩვენი თავდაცვის მინისტრის შეცვლისა და ამ ფაქტის გამო შესაძლო გართულებების შესახებ.

— ჩემი პოზიცია დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისადმი არ შეცვლილა. იგი თქვენთვის ცნობილია. რაც შეეხება თანამშრომლობას მასში შემავალ ქვეყნებთან და, ერთგვარად, თანამეგობრობასთანაც, აქ რეალური ფაქტების წინაშე ვდგავართ და ბევრ დარგში, სადაც მიზანშეწონილია, ვთანამშრომლობთ და ვითანამშრომლებთ. რაც შეეხება ამ ქვეყნების მეთაურების დღევანდელ შეხვედრას მოსკოვში, ჩვენ ვესწრებით როგორც მიწვეულნი. ესწრება ვიცე-პრემიერი მარგიანი.

რესპუბლიკის შიგნით თანამდებობრივი გადაადგილებები ჩვეულებრივი მოვლენაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის და, არა მგონია, რომ ერთი ან ორი მინისტრის გათავისუფლება ან სხვების დანიშვნა სერიოზულ ეჭვებს გამოიწვევს. შეიძლება ერთნი კმაყოფილნი დარჩნენ, სხვები — არა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ნორმალურადაა აღქმული.

შემდეგი შეკითხვები საქართველოს პარლამენტის საქმიანობას, კონსტიტუციის მიღების საქმეში და საქართველოს მომავალ სახელმწიფოებრივ მოწყობას შეეხებოდა.

— ჯერ ერთი, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ კარგი პარლამენტი გვყავს. ეს ჩვენთვის, საქართველოსთვის მთავარია.

მეორე. ძალიან აქტიურად მუშაობს კონსტიტუციაზე. შექმნილია კომისია, აქტიურად მუშაობენ ჯგუფები, ქვეჯგუფები. ვფიქრობ, რომ წლის ბოლოსათვის გვექნება ისეთი ტექსტი, რომელიც პარლამენტის განხილვის საგანი გახდება.

რაც შეეხება სახელმწიფო მოწყობას, — ფედერალური, კონფედერალური, უნიტარული სახელმწიფო და ასე შემდეგ, — არ გავუსწრებ მოვლენებს, რადგან კომისიას ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა. დაველოდოთ.

„ბი-ბი-სის" რუსული სამსახური დაინტერესდა ეშერის ლაბორატორიიდან რუსეთის სამხედრო ნაწილის გაყვანის პერსპექტივით.

— ეშერის ლაბორატორიის საკითხი ძალიან სერიოზულია და სწორედ ამიტომ იყო განხილული უმაღლეს დონეზე. ვფიქრობ, რომ დღე-დღეზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება.

„ნეზავისიმაია გაზეტა" წარმომადგენელმა სახელმწიფოს მეთაურს ჰკითხა, თუ რა აზრისაა იგი სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციის აუცილებლობაზე.

— თქვენ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს შეეხეთ. საქართველოს დღევანდელ ვითარებაში ძალიან ძნელია ყურადღება ასეთი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე გადაიტანო. მას შემდეგ, რაც გადავწყვეტთ ჩვენს საშინაო პრობლემებს, უპირველესად კი მოვაგვარებთ კონფლიქტებს, გარკვეული დროის შემდეგ ჩვენ დავუბრუნდებით ამ საკითხებს. გვაქვს იდეები, მოსაზრებები. გვთიანებით, რომ დემოკრატიული ძალები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა უეჭველად უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ეთათბირებოდნენ ერთმანეთს, ერთგვარად გაერთიანდნენ ეფექტურად დემოკრატიული საზოგადოების შენებაში.

პრესკონფერენცია დამთავრდა. ბატონი ედუარდ შევარდნაძე სრულიად არ დაიღალა ჟურნალისტებმა, ვიწრო რკალში მოიმწყვდიეს და კიდევ და კიდევ ეკითხებოდნენ რაღაცას — თავ-თავისას.

6. „ყველანი თავდაცვის ყოფილი მინისტრის მომხრენი ვართ"

ცოტა აქეთ მეორე უძველესი პროფესიის რამდენიმე წარმომადგენელს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ახალი მინისტრი, გენერალი გიორგი ყარყარაშვილი დაუმარტოხელებია.

სომხური გაზეთის კორესპონდენტი (სამწუხაროდ, ვერ ჩავიწერე — რომლის) ცდილობს ქართული არმიის რეორგანიზაციის საკითხებში გარკვევას:

— თანამდებობის ჩაბარებისთანავე რა ორგანიზაციული ღონისძიებანი განახორციელეთ? — ეკითხება ახალგაზრდა გენერალს.

— დავშალეთ ეროვნული გვარდია და დავუქვემდებარეთ თავდაცვის სამინისტროს.

— **დღეს გადმოსცეს ცნობა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის მომხრეები როგორღაც გააქტიურდნენ. ამასთან დაკავშირებით თქვენ რის გაკეთებას აპირებთ?**

— ასეთი ინფორმაცია მე არა მაქვს. ისე კი ჩვენ, ყველანი თავდაცვის ყოფილი მინისტრის მომხრენი ვართ, იმიტომ, რომ ის ჩვენი მეგობარია.

— **აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების რა გზები გესახებათ? ხედავთ რაიმე გზას ამ ომიდან გამოსვლის?**

— რასაკვირველია, ვხედავ. გამარჯვება კეთილგონიერება, სხვა აზრი.

ჩემი ქართველი კოლეგებიც ჩაერთნენ:

— **გრაჩოვს ადრე თუ შეხვედრიხართ?**

— არ მქონია ბედნიერება.

— **მოლაპარაკების ტონი, რომელშიც თქვენ მონაწილეობდით, როგორი იყო?**

— რუსეთის მხრიდან კეთილმოსურნე იყო, ჩვენ უფრო აგრესიულები ვიყავით.

საინტერესოა...

7. სამართებლის პირზე მივდივართ?

ერთი შეკითხვა, რომელიც პრესკონფერენციაზე სახელმწიფოს მეთაურს დაუსვეს, აქეთ, დასკვნით ნაწილში გადმოვიტანე. ახლავე მიხვდებით — რატომაც.

შეკითხვა: — რა რეაქცია ექნება რუსეთ-საქართველოს უმაღლესი დონის დღევანდელ შეხვედრაზე საქართველოში საპარლამენტო ოპოზიციას?

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ კარგ საქმეს ოპოზიციაც კარგად აფასებს.

იგივე შევკითხე — ბატონ ნოდარ ნათაძეს, იგი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაშია და უპრიანია მანაც შემესმის ის პასუხი, პასუხი-ოპოზიცია.

ოპოზიცია, — ამბობს ბატონი ნოდარი, — არა მგონია მთლიანად ადეკვატური იყოს დღის ვითარების მიმართ. ცოტა დიფუზიური ტერმინია. რას ჰქვია ოპოზიცია? ზოგ საკითხში ვიღაც ვიღაცას ეთანხმება, ზოგ საკითხში ვიღაცა ვიღაცას არ ეთანხმება.

დღეს რაც გაკეთდა, რაც მიღწეულ იქნა, ყველაფერი კარგია. მაგრამ ერთი პირობით: ჩვენ მუდმივად უნდა გვქონდეს იმის უნარი და იმის მზაობა, რომ, თუ კი ერთი გრადუსით, ან ერთი მინუტით, ან ერთი სეკუნდით გადაუხვევს მოვლენების განვითარებამ ჩვენთვის მისაღებ კურსს, მაშინვე რადიკალური გეზით მოვახდინოთ ამ კურსიდან, სახელმწიფოსთან, რომელთანაც დღეს გვეუმჯობესდა ურთიერთობა. შეიძლება ისეც გავეკეთებინა, რომ თავიდანვე აგვეღო რუსეთთან რადიკალური დაპირისპირების კურსი. ამით რაღაცას მოვიგებდით, რაღაცას წავაგებდით. ჩვენ ავიღეთ ასეთი კურსი: ამჟამად სამართებლის პირზე მივდივართ, რაღაცა ურთიერთობებს ვამყარებთ, რაღაცაში საერთო ენას ვპოულობთ და ასე შემდეგ, და ეს კარგია. მაგრამ თუკი ერთხელ მაინც მოხდა ის, რომ ჩვენთვის სასურველ კურსს გადავუხვიეთ კარგი ურთიერთობების შენარჩუნების ხათრით, მაშინ ეს იქნება მოულოდნელი და მიუტევებელი ჩვენთვის. ამიტომ — მაქსიმალურად კეთილი ურთიერთობების შენარჩუნება, მაქსიმალურად საერთო ენის გამონახვა, მაგრამ ამის მუდმივი მზაობით, რომ როგორც კი ეს ჩვენთვის დასაშვებ საზღვრებს გადააცილებს, მაშინათვე რადიკალური ურთიერთდაშორება მოვახდინოთ.

• • •

ასე გაილია 1993 წლის 14 მაისის არაჩვეულებრივი საინტერესო დღე. ორი სახელმწიფოს კრიტიკულ ზღვრამდე გართულებული ურთიერთობის გაუმჯობესების რეალური კონტურები გამოიხატა.

წინ იყო პირის მიერ პრაქტიკულად სწორედ ამ ეტაპით შეფასება. მომხდარი მოვლენის (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) და კვლავ დებატები საქართველოს პარლამენტში, რომელთა პარლამენტის თავმჯდომარე სახარებლად მიიჩნევს.

18 საათზე „ვნუკოვო-2"-დან გავფრინდით.

მოსკოვში გრძელდებოდა სნგ ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა და ჩამწკრივებულიყო მათი მოლოდინში „ტუ-134"-ების გამოშლილი რიგი. ფიუზელაჟებზე წარწერები: „უკრაინა", „ბელორუსი", „ყაზახეთი"... და ერთი, ამ რიგიდან გამოცალკევებული „ბოინგი" — „თურქმენეთი".

— კარეტები მოთმენილია, ბატონებო!

• • •

ჩვენ „ორბის" ავიაკომპანიას მოვყავდით თბილისში.

მოსკოვი-თბილისი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 102(646), 1993 წ. 19 მაისი.

განვმარტავთ

მეტროში მხოლოდ კუპონით

ამ დღეებში მეტროში მოქალაქეთა მღელვარება შეიმჩნევა, სალაროს მუშაკები ჟეტონის მყიდველებისგან არ იღებენ „საბჭოთა" ფულს. ამასთან დაკავშირებით განმარტება ვთხოვეთ თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსს ბატონ ზურაბ ბაბუხიას.

— ეს ფაქტი სისწორეს შეეფერება — გვითხრა მან — საქმე ის გახლავთ, რომ ხელთა მაქვს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიმდინარე წლის 24 მარტის დადგენილება, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე კუპონების მიმოქცევას შეეხება. აქ მეშვიდე პუნქტის მეორე-მესამე აბზაცში ცალსახად არის ჩაწერილი, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა სახეობის ტრანსპორტით მგზავრობა 5 აპრილიდან ნაღდი ანგარიშსწორებით მხოლოდ და მხოლოდ კუპონებით უნდა მოხდარიყო. უნდა ვთქვა, რომ ჩვენ გარკვეულ მოქალაქეთა სურვილის გათვალისწინებით დავარღვიეთ ეს დადგენილება და ჟეტონების გაყიდვა მხოლოდ კუპონებით 13 მაისს 13 საათიდან დავიწყეთ. ამან ზოგიერთი მგზავრის უკმაყოფილება გამოიწვია, არადა, ამ ფაქტს უნდა შევეგუოთ, რადგან მოსახლეობამ წინა დღეებში ხუთმანეთიანებით უამრავი ჟეტონი შეიძინა, ამან კი მეტროს სალაროებში ჟეტონის შემცირება გამოიწვია. მოქალაქეთა ჩანაფიქრი გასაგებია, მათ განიზრახეს ხუთმანეთიანები თავიდან მოეშორებინათ, მის მაგიერ ჟეტონები შეეძინათ და თუ მეტროს ტარიფი გაიზრდებოდა, იმ დროს გამოეყენებინათ. ბუნებრივია, ეს რომ ასე გაგრძელდეს, დიდ დანაკარგებს ვნახავთ და მუშაობისთვის საჭირო ჟეტონების რაოდენობა აღარ გვექნება.

არადა, საქმე სხვაგვარად გახლავთ, წარმოებაში უკვე ჩაშვებულია და მალე დავამზადებთ პლასტმასის ჟეტონებს, გარდა ამისა, გამორიცხული არ არის, რომ ახალი ჟეტონის შემოღებასთან ერთად მეტროში მგზავრობის ტარიფიც გაიზარდოს. მაშინ ისე მოხდება, რომ ვინც დიდი რაოდენობით ჟეტონი შეიძინა, გამოუყენებელი დარჩება. ამიტომ უმჯობესია თითოეულმა მოქალაქემ ნაყიდი ჟეტონი დროულად გამოიყენოს.

ლალი გურული.

აუქციონი

ობიექტი გაიყიდა, რას მოხმარდება შემოსული თანხა?

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე „თბილქალაქპროექტის" სხდომათა დარბაზში აუქციონი ჩატარდა. გასაყიდად გამოიტანეს დედაქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ვაჭრობის, საზ. კვების და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

მანამდე კი სამმართველოს არასაწარმოო დარგების განყოფილების გამგეს **ზაზა ოჩიგავას** გავესაუბრეთ.

— ვიდრე ამა თუ იმ ობიექტს აუქციონზე გამოვიტანდეთ, გვითხრა მან, მანამდე მასზე ყველა სახეობის მასალას ვამზადებთ — რა პროფილისაა ობიექტი, რა ფართობი უკავია მას, რამდენი კაცია დასაქმებული იქ, რა საბალანსო ღირებულებისაა იყო აფასებამდე და აფასების შემდეგ, — მერე გამოიანგარიშებენ ზონალურ-ტერიტორიულ კოეფიციენტს, რასაც მანეთის ინფლაციის კოეფიციენტზე ამრავლებენ და აქედან გამომდინარე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის შესაბამისად ადგენენ აუქციონზე გასაყიდი ობიექტის სასტარტო ფასს, რასაც მერიის საქალაქო კოლეგიის სხდომაზე ამტკიცებენ, მერე კი ჩვეულებრივი აუქციონი იმართება. ობიექტის შეძენის მსურველებს განცხადებები შემოაქვთ, ზოგჯერ ასეთი ბევრია, ხანდახან კი მსურველი საერთოდ არ არის. მაგალითად, ახლა ორ ავტოგასამართ სადგურზე განაცხადი არ შემოუტანიათ, თითქოს მოქალაქეებს რაღაცის ეშინიათ, არადა, წარმოუდგენელია, ამ ობიექტის შეძენა არავის უნდოდეს.

ამასობაში მეაუქციონემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლევან სულაბერიძემ ევროპული მანერით გახსნა აუქციონი. დამსწრეებს სიმშვიდისა და სიწყნარისაკენ მოუწოდა და ამასთან გვთხოვა, მონაწილეებს დებულებით გათვალისწინებული წესები დაეცვათ.

— იყიდება სურსათვაჭრობის № 2 პავილიონი, — დარბაზში გაისმის მეაუქციონის ხმა და მაშინვე 6 და 9 ნომრის მფლობელები ერთმანეთს ეჯიბრებიან თანხების მომატებაში, ამ პროცესს მყიდველთა მხრივ გარკვეული დაძაბულობა ახლავს, მაგრამ ამასთან იგი თავისებურად აზარტული და ხალისიანია, გარკვეული ბიჯის მომატების შემდეგ ობიექტი თვითონ კოლექტივმა შეისყიდა.

მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავდი, — გვეუბნება უკვე ამ საჭირო ობიექტის მესაკუთრე მიხეილ ყანჩაველი. ხუმრობა ხომ არ არის, 38 წელია ვაჭრობაში ვმუშაობ, მთელი ჩემი ჯანი და ღონე მას შევალიე, თანაც ჩემს უკან 11-კაციანი კოლექტივია, რომელიც ისევე განიცდიდა ამ ობიექტის გასხვისებას, როგორც მე. რა დაგიმალოთ და მიხარია, რომ კვლავ შემიძლია ძველ ობიექტზე ვიმუშაოთ. მეც და ჩემი კოლექტივიც ყველაფერს ვიღონებთ, რათა მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით ვიმუშაოთ.

ასე რომ, ობიექტების უმეტესობა იქაურმავე შრომითმა კოლექტივებმა შეიძინეს და ამით ძალზე კმაყოფილიც დარჩნენ. მყიდველები იქვე აუქციონზე აფორმებენ სპეციალურ ოქმს, რის შემდეგაც ქონების მყიდველი ან მოიჯარე გამყიდველი ვალდებულნი არიან გააფორმონ და მერე სანოტარო კანტორაში დაამოწმონ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

...აუქციონის მოგებამ ნავარაუდევს გადააჭარბა და საკმაოდ სოლიდური თანხა შეადგინა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ისიც აუცილებელია, დროულად განისაზღვროს, რას უნდა მოხმარდეს ეს თანხები.

ლალი ძინძლაძე.

ჩვენი მეზობლები



სომხეთი საუკუნის გადასახედიდან

სომხეთი მსოფლიოს უძველეს სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი ამიერკავკასიული ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია და ამდენად საქართველოს უშუალო თანამოღვაწეცაა. მისი ისტორიული ცხოვრება, საქართველოსთან ერთად, წარიმართა კავკასიაზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო და სტრატეგიული მაგისტრალების იმ გზაჯვარედინზე, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროს დამაკავშირებელ ოქროს ხიდად იქცა ძველთაგანვე. განგების მიერ კუთვნილმა ამ ერთობ საპატიო და ამასთანავე სახიფათო როლმა ამიერკავკასია დიდ სახელმწიფოთა საცილობელ ქვეყნად აქცია, რამაც ობიექტურად განაპირობა საქართველოსა და სომხეთს შორის როგორც მრავალმხრივი მჭიდრო თანამშრომლობა, მეტადრე, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე მეტოქეობა მათ შორის ამიერკავკასიაში პირველობისათვის.

ასე გადაეხლართა თავიდანვე ერთმანეთს საქართველოსა და სომხეთის ისტორია და თითოეული მათგანის პოლიტიკური თავგადასავლის ცალკეული უმნიშვნელოვანესი პერიპეტიები ურთიერთგანმსაზღვრელ ფაქტორად იქცა მათი შემდგომი განვითარებისათვის. ყოველივე ამის გამო საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან სომხეთის ისტორიის მიმართ ინტერესი სრულიად განსაკუთრებულია.

სომეხი ხალხის წარმოშობა სათავეს იღებს ქრისტეშობამდე მრავალი საუკუნით ადრე (II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში) სამხრეთ ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ასპარეზზე მიმდინარე ეთნიკურ პროცესებში, რომელიც ძველაღმოსავლურ სახელმწიფოთა და მათი კულტურების მუდმივი მონაცვლეობის პირობებში ვითარდებოდა. ამ გარემოებამ თავისი წარუშლელი კვალი დააჩნია სომეხთა ეთნოგენეზს და განაპირობა მასში მრავალი არასომხური წარმოშობის ტომისა და ელემენტის მონაწილეობა. ასე მაგალითად, სომეხთა ეთნოგენეზისში პროტოსომხების გარდა მონაწილეობა მიიღეს ლუვიური, ხურიტული, ურარტული და სხვა წარმომავლობის ტომებმა, განსაკუთრებული იყო, როგორც ჩანს, სომეხი ხალხის ფორმირებაში ჰაიასას ტომთა გაერთიანების (სომხეთის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში) როლი, რამდენადაც მისი სახელიდან დაიმკვიდრეს სომხებმა თვითწოდება „ჰაი" — სომეხი, ხოლო თავის ქვეყანას ამავე სახელიდან ნაწარმოები „ჰაისტანი" უწოდეს. ასევე დიდი ჩანს სომეხი ხალხის ეთნოგენეზისში (ინდოევროპელი არმენების წვლილიც. მათი სახელით იცნობს სომხებსა და სომეხთა ქვეყანას ყველა სხვა ხალხი ქართველებს გარდა. ძველი სომხური ტრადიციითაც „ჰაიასას" და „არმენის" სახელები სომეხი ხალხის ეთნონიმებადაა მიჩნეული.

ურარტუს ძლიერი სახელმწიფოს დაცემამ ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური ორგანიზაციის პროცესსაც გაუხსნა გზა. ამ რეგიონში იქმნება ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომლებიც დროთა განმავლობაში აქტიურად ებმებიან დიდ სახელმწიფოთა ჭიდილში და მნიშვნელოვან ზეგავლენასაც ახდენენ შემდგომში პოლიტიკური მოვლენების მსვლელობაზე მახლობელ აღმოსავლეთში. ქ. წ. I ათასწლეულის დასასრულს ასეთ როლში პირველად გამოდის უკვე დიდად გაფართოებული და დაწინაურებული „დიდი სომხეთის" სამეფო.

სომხეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, წყაროებში პირველად მოიხსენიება დარიოს I-ის (ქ. წ. 522-486 წწ) ბეჰისტუნის სამენოვანი წარწერის ძველსპარსულ და ელამურ ვარიანტებში ტერმინ „არმინას" სახით. სომხეთისა და სომხების აღმნიშვნელი ძველი ბერძნული ტერმინები „არმენია", „არმენები" ქ. წ. VI-V საუკუნეებზე ადრეული არ ჩანს, თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სომხური სახელმწიფო — „არმინა", „არმენია" შესაძლოა უფრო ადრე ქ. წ. VI ს-ის დასაწყისში შექმნილიყო. ქ. წ. VI ს-ის 20-იანი წლებიდან, იმავე ბეჰისტუნის წარწერის მიხედვით, სომხეთი აქემენიდური სპარსეთის შემადგენლობაშია და მის ორ სატრაპიას შეადგენს.

IV ს-ის 30-იან წლებში ქ. წ. ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომების შემდგომმა სამასწლიანმა პერიოდმა სომხეთი, სპარსეთის ქვეშევრდომ სხვა ქვეყნებთან ერთად, განვითარების ახალ ფაზაში — ელინიზმში შეიყვანა, პოლიტიკურად კი სელევკიდების სირიის სამეფოში მოაქცია.

190 წელს ქ. წ. მაგნეზიასთან რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს სელევკიდები, რითაც მყისვე ისარგებლეს სომხეთის მმართველებმა და აჯანყდნენ. სომხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სომხური სახელმწიფო დიდი და მცირე არმენია. „დიდი სომხეთი" ჯერ კიდევ 220 წ. ქ. წ. შეიქმნა აირარატის სომხეთის სატრაპიასთან გაერთიანებით, ეს უკანასკნელი კი მოიცავდა მდ. არაწანის ზედა და ქვედა დინებას, ვანის ტბის აუზს და მდ. ტიგროსის სათავეს. მცირე სომხეთი კი ალ. მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ჩამოყალიბდა ზემო ევფრატის ზეგანზე, (ძველი ჰაიასას ტერიტორიაზე). დიდ სომხეთში გამეფდა არტაშეს I (189-160 წლები ქ. წ.). მან გააერთიანა თითქმის მთელი სომხური ტერიტორია, გარდა სოფენისა და მნიშვნელოვნად გააფართოვა კიდეც მეზობლების ხარჯზე. მაგალითად, იბერიას მისტაცა სამხრეთი ტერიტორიის ნაწილი (გოგარენი, ტაო, ხორძენე). არტაშეს I-ის დროინდელი სომხეთი მოიცავდა თითქმის მთელი სომხეთის მთიანეთის ტერიტორიას. არტაშეს I გახდა ერთიანი სომხური სამეფოს ფუძემდებელი.

არტაშეს I-ის მემკვიდრეებს ბრძოლა უხდებათ გაძლიერებულ პართიასთან. განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს სომხეთი I ს-ში ქ. წ. ტიგრან II-ის მეფობისას. მის დროს ძველი სომხეთი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების ზენიტს აღწევს. ტიგრან II-ის ძლევამოსილი ლაშქრობანი 70 წლისათვის ქ. წ. სრულდება, რის შედეგადაც სომხეთის სამეფო ვრცელდება კასპიის ზღვიდან მდ. იორდანემდე და ხმელთაშუა ზღვამდე. იგი თამამად უპირისპირდება ამ დროისათვის უკვე საშინაო გართულებებით ფრთაშეკვეცილ პართიას. სომხეთი ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოთა რიგში დგება. მაგრამ სომხეთის ეს აღმავალი განვითარება ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა.

პართიამ მალე დააღწია თავი საშინაო გართულებებს და ისევ გააქტიურდა. რომმაც გააძლიერა თავისი ექსპანსია აღმოსავლეთში. სომხეთის დამოუკიდებელი არსებობა სასწორზე შედგა. პ. მანანდიანის ხატოვანი თქმით, რომაელთა მიერ სირიისა და პონტოს დაპყრობის შემდეგ, რომსა და პართიას შორის მოქცეული სომხეთი უროსა და გრდემლს შორის აღმოჩნდა. ბერძნულ-რომაულ დასავლეთსა და ირანულ, შემდეგ კი არაბულ აღმოსავლეთს შორის მთელი 8-9 საუკუნე, მცირე ხანგამოშვებით, გრძელდებოდა ომი აღმოსავლეთში გასაბატონებლად და ამ ხნის განმავლობაში სომხეთი ბუფერის როლს ასრულებდა. სხვა პირობებთან ერთად, ეს არასახარბიელო მდგომარეობა იყო ერთი უმთავრესი მიზეზი შემდგომში სომხეთის სახელმწიფოებრივი მარცხისა და საზოგადოებრივი განვითარების ერთგვარი შეფერხებისაც.

სომხეთის ვრცელ სამეფოს პირველი ძლიერი დარტყმა რომის ლეგიონებმა მიაყენეს უკვე 69 წ. ქ. წ. რამდენიმე წლიწადში ამიერკავკასიის ქვეყნები სომხეთთან ერთად „რომის მეგობრები და მოკავშირეები" გახდნენ. რომისა და პართიის დაპირისპირებამ სამეფო ხელისუფლება სომხეთში ძალზე მერყევი გახადა. დაპირისპირებულ ძალთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად სომხეთის ტახტზე ერთმანეთს სცვლიდნენ სამეფო ოჯახის სხვადასხვა წევრები. I ს-ში ქ. შ. რომაელებმა საერთოდ გააუქმეს არტაშესიანთა სამეფო ხელისუფლება სომხეთში, რის შემდეგ თავიანთი ნებით სვამდნენ აქ მეფეებს მეზობელი ქვეყნის სამეფო ოჯახებიდან. 35 წელს ქ. შ. რომის დავალებით სომხეთში ქართლის ჯარი შევიდა (იბერია ამ დროს რომის მთავარ მოკავშირედ ითვლებოდა ამიერკავკასიაში) და სამეფო ტახტზე იბერთა მეფის ფარსმანის ძმა მითრიდატე დასვა. მის შემდეგ კი სომხეთის სამეფო ტახტი ფარსმანის ძემ რადამისტმა დაიკავა. იბერები სომხეთიდან საბოლოოდ პართელებმა განდევნეს. 52 წელს მათ სომხეთის სამეფო ტახტზე დასვეს პართიის მეფის ძმა თრდატ I, რომელიც სომეხ არშაკიდთა (არშაკუნიანთა) ახალი სამეფო დინასტიის ფუძემდებელი გახდა.

თუკი პართიის პოლიტიკურ ფარვატერში ნ. ადონცის თქმით, სომხეთის „საგარეო დამოკიდებულება შეხამებული იყო შინაგან დამოუკიდებლობასთან", რომი გამუდმებით ცდილობდა ამ ქვეყნის თავის ჩვეულებრივ პროვინციად გადაქცევას. ამიტომ სომხები საუკუნენახევარზე მეტ ხანს პართელებთან ერთად ცვალებადი წარმატებით ებრძოდნენ რომაელებს. მაგრამ III ს-ის 20-იან წლებში პართელთა ადგილი ირანში სასანიანებმა დაიკავეს. ახალი ირანული სამეფო თავისი წინაპრისგან განსხვავებით უკეთ ორგანიზებული, უფრო ძლიერი და ბევრად აგრესიულიც იყო. მისი დამოკიდებულება ამიერკავკასიის მიმართ ცალსახად გულისხმობდა დაპყრობასა და იქ მოსახლე ხალხების ასიმილაციას. მახლობელი აღმოსავლეთის ასპარეზზე ახალი ძალის გამოჩენამ ერთგვარად დააცხრო რომის აგრესიული განწყობილება ამიერკავკასიის მიმართ, სადაც ის ახლა დასაყრდენს ეძებდა სპარსეთის წინააღმდეგ.

სასანიანთა აგრესიის პასუხად ამიერკავკასიის ხალხებმა პრორომაული ორიენტაცია ირჩიეს, რაც ქრისტიანობის მიღებითაც გამოხატეს. შეცვლილი პოლიტიკური სიტუაცია ახალი შინაარსით ავსებდა სომხეთ-საქართველოს ტრადიციულ ურთიერთობასაც. საერთო მტრის ფაქტორი და პოლიტიკური გავლენის ერთ სფეროში ყოფნა, არამარტო გამორიცხავდა სომხეთსა და საქართველოს შორის ტერიტორიულ დავას, არამედ მნიშვნელოვნად აქტიურებდა მათ შორის სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას. საყურადღებო ცნობას გვაწვდის ლეონტი მროველი: პირველი ქრისტიანი მეფეების თრდატისა და მირიანის დროს სომხეთსა და ქართლს შორის პოლიტიკური საზღვარი მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფ ხაზზე გაუტარებია რომის იმპერატორს კონსტანტინეს — „რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით და მიერთვიან რახსს, ესე ქვეყანანი თრდატის კერძად დაყარნა და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა" (ქც, I, გვ. 70). სასაზღვრო პრობლემის გადაწყვეტაში ბერძენი კეისრის შემოყვანებით ლეონტი, თითქოს, საერთაშორისო აღიარების ძალას ანიჭებდა ხსენებული საზღვრის კანონიერებას, მაგრამ კიდევ უფრო ნიშანდობლივია, რომ ქართლის სამხრეთის საზღვარი ძირითადად, ლეონტის მიერ აღნიშნულ ზოლზე გადიოდა ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე. ჩანს, შემდგომშიც, როცა მეზობელი ქვეყნები იდეოლოგიურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მათ შორის მაინც გაწონასწორებული პოლიტიკური ურთიერთობანი დომინირებდა, რაც პირველ რიგში, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით იყო განპირობებული. ქართული და სომხური წყაროები ამ ხანაზეც ე. ი. სასანიანთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მრავალი საგულისხმო ფაქტს გადმოგვცემენ.

აღმოსავლეთში ბატონობისათვის ბრძოლა ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივი და დაუნდობელი გამოდგა. რადგანაც გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთი მხარე ვერ აღწევდა, მათ ერთმანეთს შორის გაინაწილეს სადავო ტერიტორიები. 387 წლის საზავო ხელშეკრულებით სომხეთის თითქმის 4/5 ირანს ხვდა წილად. ბიზანტიამ თავის კუთვნილ დასავლეთ სომხეთში 391 წ. გააუქმა მეფობა, აღმოსავლეთ სომხეთში კი სპარსელებმა 428 წ. გააუქმეს სამეფო ხელისუფლება, რასაც თან დაერთო სომხური არისტოკრატიის ფეოდალური უფლებების შეზღუდვა და სომეხთა კულტურული ასიმილაციის ჯიუტი ცდები. V ს-ის 50-იან და 80-იან წლებში სომხეთი სახალხო აჯანყებებმა მოიცვეს. ქართლი ამჯერადაც თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა სომეხთა ბრძოლას, მაგრამ პოლიტიკურ ამინდს ამიერკავკასიაში უფრო მეტად, მაინც, დაპირისპირებული დიდი სახელმწიფოების ძალთა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებები განაპირობებდნენ, რის გამოც საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა ერთ უმთავრეს პრობლემად იქცა ამ დიდ ძალებს შორის მოქცეული ქვეყნებისათვის.

სომხეთის გაყოფის შემდეგ ბრძოლამ ბიზანტიასა და ირანს შორის გარეგნულად რელიგიურ-იდეოლოგიური ელფერი მიიღო. ასეთ სიტუაციაში სომხეთმა ქრისტიანობის მონოფიზიტური მიმართულება აირჩია, რითაც თავი დაიცვა არამარტო მაზდეანური რელიგიის მოძალებისაგან, არამედ კავშირი გაწყვიტა იმპერიის ეკლესიასთან და როგორც ანტიბიზანტიურმა ძალამ ირანის მფარველობაც მოიპოვა. სომხურ ეკლესიას შესაძლებლობა შეექმნა ირანზე დაყრდნობით ამიერკავკასიაში რელიგიური სიტუაციის წარმმართველის როლში გამოსულიყო. გასაგებია, რომ ქართული ეკლესია, თავის მხრივ, ბიზანტიის დახმარებით უნდა ცდილიყო თავისი გავლენის გავრცელება-გაფართოებისათვის. ასე რომ, დიდ სახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირებამ ამიერკავკასიაში ისტორიული მეზობლები და საგარეო პოლიტიკური პარტნიორები — სომხეთი და საქართველო ერთმანეთს იდეოლოგიურად დაუპირისპირა. ორი იმპერიის საცილობელ ქვეყანაში ერთმანეთის საპირისპირო მრწამსის გაბატონება თუ ერთის მხრივ ორივე დამპყრობელს ერთნაირად უშლიდა ხელს ამ ქვეყნის მითვისებაში და ამდენად ქართული და სომხური ეკლესიების გათიშვა ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდა, მეორეს მხრივ, იგივე გარემოება ორივე აგრესორს საფუძველს აძლევდა „ჭეშმარიტი სარწმუნოების" დაცვის საბაბით ამიერკავკასიის ქვეყნების საშინაო საქმეებში აქტიურად ჩარეულიყო.

ომმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო VI ს-სა და VII ს-ის დასაწყისში. 591 წ. მებრძოლმა მხარეებმა სომხეთი ხელახლა გაინაწილეს. ტერიტორიის მეტი წილი ამჯერად ბიზანტიას შეხვდა. ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. 629 წლის ზავმა კვლავ დაადასტურა 591 წ-ის ზავის პირობები. ხანგრძლივმა ომმა მებრძოლი მხარეების ძალები იმდენად გამოფიტა, რომ მსოფლიო ასპარეზზე გამოსულ ახალ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას — არაბთა სახალიფოს ისინი ვეღარ შეეწინააღმდეგნენ.

VII საუკუნის შუა წლებიდან სომხეთში დაიწყო არაბთა მფლობელობის მრავალსაუკუნოვანი მძიმე ხანა. აზიის ახალმა მბრძანებლებმა ამიერკავკასია სახალიფოს ერთ უკიდურეს ჩრდილოეთ პროვინციად გადააქციეს, რომელსაც პირველად დაპყრობილი ქვეყნის მიხედვით „არმინია" უწოდეს. დამპყრობთა მიერ შემოღებული ახალი წესრიგი, როგორც დაბალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოხატულება და მათ მიერვე მოტანილი ახალი რელიგია — ისლამი, ერთიანად მიუღებელი იყო სოციალური და კულტურული ამაღლების გზაზე შემდგარი ამიერკავკასიის ფეოდალური საზოგადოებისათვის. ეს ვითარება სომხეთში კიდევ იმითაც იყო დამძიმებული, რომ არაბული ტომები და მსახურეული სამხედრო ფენა მიეძალა რა სომხეთის ქალაქებსა და მათ მიმდგომ რაიონებს, ისინი არაბთა ბატონობის სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრები გახადა (დვინი, ნახიჩევანი, არჭეში, მანასკერტი და სხვ.). სემიტური ეთნიკური ჯგუფების მრავალრიცხოვანი კერების გაჩენამ, უკვე არსებულ ირანულთან ერთად, არსებითი ცვლილებები შეიტანეს ქვეყნის ეთნიკურ სტრუქტურაში და სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნეს ქვეყნის ეროვნულ კონსოლიდაციას და, როგორც ფიქრობენ, სწორედ ეს გახდა IX-X სს-ში სომხეთის პოლიტიკური გაერთიანების წარუმატებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

სომეხი ხალხი არაერთგზის აჯანყდა არაბული ძალადობის წინააღმდეგ (703, 748-50, 774-75, 850-55 წწ). მარცხის მიუხედავად ისინი გარკვეულწილად ხელს უწყობდნენ სახალიფოში უკვე მიმდინარე კრიზისული პროცესების გამწვავებას, რამაც სრულიად აშკარად იჩინა თავი IX ს-ის დასაწყისიდან. სახალიფოს დაშლისა და დასუსტების პირობებში სომეხი დინასტები ხელისუფლებასთან თანამშრომლობით ახერხებენ საკუთარი ფეოდალური უფლებების გაფართოებას, რის საფუძველზეც იმავე საუკუნის 80-იან წლებში შესაძლებელი გახდა სომხეთში სამეფო ხელისუფლების აღდგენა.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში პირველ ბაგრატუნ მეფეებს (ახალი დინასტიის ფუძემდებელი აშოტ ბაგრატუნი 886 წ. ეკურთხა მეფედ) რთული ლავირება უხდებოდათ გაძლიერების გზაზე შემდგარ ბიზანტიასა და ჯერ კიდევ ძალაშერჩენილ სახალიფოს შორის. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, სომხმა ბაგრატუნებმა ერთიანი სომხური სახელმწიფოს შექმნა მაინც ვერ შესძლეს. სომხურ სეპარატიზმს მხარს უჭერდნენ როგორც მეზობელი საემიროები, ისე სახალიფო და ბიზანტია. პოლიტიკური გაერთიანების პროცესმა სომხურ სინამდვილეში დასაყრდენი ვერ ჰპოვა. X საუკუნისათვის სომხეთი ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიყო (შირაკის, ვასპურაკანის, ვანანდის, სივნიეთის და სხვა). X ს-ის დასასრულიდან კი ისედაც დაქუცმაცებული ქვეყანა კიდევ უფრო მცირე ერთეულებად დანაწევრდა. ამიტომ მან წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია XI ს-ის ნახევარში ჯერ ბიზანტიელთა აგრესიას, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკთა შემოსევებს და დაეცა. სომხეთის ტერიტორია სელჩუკთა საემიროებით მოიფინა.

ეს ვითარება თითქმის საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე გაძლიერებული საქართველო დავით აღმაშენებლის მეთაურობით ამიერკავკასიიდან თურქ-სელჩუკთა განდევნას არ შეუდგა. დავითის მემკვიდრეებმა განაგრძეს სომხური მიწების განთავისუფლება, რაც საბოლოოდ XIII ს-ის დასაწყისისთვის დაასრულეს. ყოფილი სომხური სამეფოების დიდი ნაწილი უშუალოდ საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში შევიდა, რადგანაც ადგილობრივი სომხური ხელისუფლება უკვე დიდი ხანი იყო, რაც აღარ არსებობდა. ისტორიული სომხეთის სამხრეთი ნაწილი კი შაჰ-არმენთა მუსლიმანურ სამეფოში მოექცა.

ამიერკავკასიაში სომხური პოლიტიკური ერთეულების გაქრობის შემდეგ სომხური ფეოდალური სახელმწიფოებრიობა ერთხანს კიდევ განაგრძობდა არსებობას (1080-1375 წწ), მხოლოდ ისტორიული სომხეთის ფარგლებს გარეთ, შორეულ კილიკიაში, სადაც შესაფერისი ეთნიკური ბაზა შეადგინეს არაბობის, ბიზანტიური აგრესიისა და თურქ-სელჩუკთა შემოსევების დროს გადასახლებულმა სომეხმა ფეოდალებმა თავიანთი მრავალრიცხოვანი ვასალებითა და ყმებით. კილიკიის სომხური სამთავრო 1198 წ. სამეფოდ გამოცხადდა, რაც ბიზანტიასთან ერთად ევროპულმა სახელმწიფოებმაც ცნეს. კილიკიაში სომხური სახელმწიფოს შექმნა თანადროულმა სომხურმა საზოგადოებამ, საერთოდ, სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენად აღიქვა.

სომხეთის დიდი ნაწილის ქართული სახელმწიფოსა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ფარვატერში შესვლა თავისი პოლიტიკური შედეგებით თვისობრივად განსხვავდებოდა ამიერკავკასიისათვის მოჭვილი დიდ სახელმწიფოთა ძალადობრივი აქტებისაგან. გარდა იმისა, რომ საქართველოში თეორიით და პრაქტიკითაც უზრუნველყოფილი იყო ეთნიკური და კონფესიური თანასწორობა და ამდენად სომხებსაც ქართველთა თანაბრად შეეძლოთ სახელმწიფოს სიკეთით სარგებლობა, საქართველო სომხებისათვის კულტურული ტრადიციებითაც მახლობელი ქვეყანა იყო. საქართველოსადმი სომეხთა ნდობას, ეტყობა, ისიც აძლიერებდა, რომ უკანასკნელი სომხური სამეფო დინასტია (ბაგრატუნები) საერთო წარმომავლობით იყო დაკავშირებული ქართველ ბაგრატიონებთან. ჩანს, ყველა ამ ფაქტორების გამო სომხური მოსახლეობის დიდი ნაწილის წარმოდგენაში ქართული სახელმწიფო მშობლიურს უთანასწორდებოდა. აკად. ს. ერემიანის თქმით, „პერიოდმა, როცა სომხური მიწები საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ზეგავლენა მოახდინა თანამედროვეთა გონებაზე და მომდევნო თაობებზე და შემდგომშიც (XVIII ს.). როცა სომეხი ხალხის პოლიტიკურ წრეებში განიხილებოდა რუსული იარაღის დახმარებით სომხური მიწების განთავისუფლებისა და სომხური სახელმწიფოს აღდგენის საკითხი, ის მხოლოდ გაერთიანებული სომხურ-ქართულ სახელმწიფოს ფარგლებში გაიაზრებოდა".

XIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის ამიერკავკასიასთან მსოფლიოს ახალი დამპყრობლები — მონღოლები გამოჩნდნენ. მალე მათ ყველა სომხური მიწები დაიპყრეს. აღმოსავლეთი სომხეთი „გურჯისტანის ვილაიეთში" მოაქციეს, რითაც საქართველოსთან მისი კულტურულ-პოლიტიკური ერთიანობა აღიარეს. საქართველოსაგან სომხეთის ჩამოცილება მოგვიანებით XIV-XV სს-ში მოხდა თემურ-ლენგისა და თურქმენების შემოსევების შემდეგ.

XV საუკუნიდან დაწყებულმა მომთაბარე თურქმანების თარეშმა სომხეთი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. მომთაბარული ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი უფლებრივი ნორმების გაბატონებამ და სომხური ფეოდალური გვარების სისტემატურმა დევნამ და განადგურებამ ქვეყანა ეროვნული კატასტროფის წინაშე დააყენა. უკიდურესად გაუარესდა საერთაშორისო პირობებიც. XV-XVI სს-ში ოსმალეთისა და სეფიანთა ირანის დიდი და ძლიერი სახელმწიფოების გამეზობლებამ ამიერკავკასიის ქრისტიანული სამყაროს გარშემო საბოლოოდ შეკრა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა აგრესიული სარტყელი.

მახლობელ აღმოსავლეთში გასაბატონებლად ოსმალეთიცა და ყიზილბაშური ირანიც სომხეთის ზეგანის დასაკუთრებას აუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ, რის გამოც ომი მათ შორის ძირითადად ბრძოლის ბარბაროსული მეთოდებით წარმოებდა. შედეგად, სომხური სოფლებისა და ქალაქების ნაცვლად ბრძოლის ადგილებში უსიცოცხლო, გაუდაბურებული ზონები იქმნებოდა. სომხეთისათვის საუკუნოვან ბრძოლაში მათ ეს ქვეყანა რამდენიმე გზის, საბოლოოდ კი 1639 წ. აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაიყვეს. დამპყრობთა სახელმწიფოს შემადგენლობაში სომხეთი ოსმალურ საფაშოებად და ყიზილბაშურ სახანოებად დანაწილდა.

შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ გააააქტიურა სომეხთა ემიგრაცია საზღვარგარეთ, რასაც ზოგჯერ ძალდატანებითი გადასახლებაც ერთვოდა თან. XVI-XVII საუკუნეებში თითქმის მთელი მსოფლიო მოიფინა მცირე სომხური კოლონიებით, სადაც სიცოცხლისუნარიანმა სომეხმა ხალხმა თავისი ეროვნული არსებობის კერები გადაიტანა. დიდი ტრადიციების მქონე მდიდარი სომხური კულტურა და სომხური ეკლესია ის ფენომენი აღმოჩნდა, რომელმაც შესაძლებელი გახადა აუტანელ პირობებშიც კი ეროვნული ცნობიერების საიმედოდ დაცვა და შთამომავლობისათვის შემონახვა.

თავშესაფრის ძიებაში სომეხ ლტოლვილთა პირველი ტალღები მაინც მისთვის ყველაზე მახლობელ საქართველოს აწყდებოდა, რომელსაც ერთადერთს ამიერკავკასიაში შენარჩუნებული ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ამდენად შეეძლო ამ რეგიონში განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურობაც. ამ დროიდან განსაკუთრებით იზრდება სომხური მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში და თბილისში. აქტიურდება სომხური პოლიტიკური წრეების კავშირი ქართულ სახელმწიფოსთან, როგორც განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარ დასაყრდენ პოლიტიკურ ძალასთან კავკასიაში.

სომხური პოლიტიკური წრეები ქართველ მოღვაწეებთან ერთად მტრული გარემოცვიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოთა დახმარებაზე ამყარებდნენ, რისთვისაც XVII-XVIII საუკუნეთა მთელ მანძილზე ჯიუტად ცდილობდნენ ევროპელი და რუსი მონარქების დაინტერესებას ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნებით. ევროპელთა პასიურობამ სომეხთა პოლიტიკური ორიენტაცია, ქართველებთან ერთად, რუსეთის სასარგებლოდ წარმართა. მაგრამ რუსეთის იმპერიის სამხედრო პოტენციალის საკუთარი პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციისათვის გამოყენება ვერც საქართველომ და მით უფრო სომხურმა პოლიტიკურმა წრეებმა ვერ შეძლეს. პირიქით, დიპლომატიურ მანევრებში ჩაბმულნი, ნებსით თუ უნებლიედ, რუსეთის ინტერესთა სამსახურში აღმოჩნდნენ. 1783 წ. ტრაქტატით რუსეთმა ხელსაყრელი პლაცდარმი მიიღო ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენის გასავრცელებლად, რაც სულაც არ საჭიროებდა დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფოების არსებობას კავკასიაში. რუსეთის დაწოლას ოსმალეთი და ყიზილბაშური ირანი ვერ შეეწინააღმდეგნენ. 1801 წ. რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოახდინა, მის თანმიყოლებით დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებისაც. 1828 წლისათვის კი მთელი აღმოსავლეთი სომხეთი გამოგლიჯა ირანს.

ირანისა და ოსმალეთის ქვეშევრდომ სომხურ მოსახლეობას, მართალია, ქრისტიანი რუსეთის გამგებლობაში ყოფნა ერჩია თავიდან, მაგრამ რუსული კოლონიალური პოლიტიკა და მმართველობის სისტემა არანაკლები სიმძიმისა გამოდგა, ხოლო სუვერენული ეროვნული სომხური სახელმწიფოს აღდგენის შესაძლებლობა კიდევ უფრო დიდი ხნით გადაიდო. ამიერკავკასიისა და სომხეთისათვის აქამდე მებრძოლი დიდი სახელმწიფოები (რომი და პართია, ბიზანტია და ირანი, ბიზანტია და სახალიფო, ირანი და ოსმალეთი) დაახლოებით თანაბარი სიდიდის ძალები იყო, რაც საშუალებას აძლევდა სომხეთს დაპირისპირებულთა შორის არსებული წინააღმდეგობანი, გონივრული ლავირებით, ზოგჯერ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და გარკვეულ პერიოდებში დამოუკიდებლობაც შეენარჩუნებინა. ახლა კი რუსეთი ერთპიროვნულად ბატონობდა კავკასიაში, რომელსაც სერიოზული მეტოქე არც ეგულებოდა. ასეთ პირობებში, სომხეთისა და სხვა დაპყრობილი ქვეყნების ბედი, მხოლოდ, თვით რუსეთის სახელმწიფოს შინაგანი ბუნების სახეცვლილებაზე იყო დამოკიდებული.

XX საუკუნემ რუსეთის იმპერია ორგზის დააყენა ამგვარი სახეცვლილების აუცილებლობის წინაშე და სომხეთსაც ორჯერ შეექმნა სუვერენულ სახელმწიფოდ აღდგენის შესაძლებლობა. დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფოს აშენების პირველი ცდა ერთობ ხანმოკლე გამოდგა (1918-1920 წწ), მეორე კი ძალზე მტკივნეულად დაიწყო სულ ახლახან.

ზურაბ მაისურაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„მთელი ევროპის წარმატება"

იტალიის მთავრობამ გამოთქვა დიდი კმაყოფილება მაასტრიხტის შეთანხმებათა რატიფიკაციის საკითხზე დანიაში ხუთშაბათს გამართული განმეორებითი რეფერენდუმის შედეგების გამო. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბენიამინო ანდრეატის აქ სპეციალურად გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „დადებითი შედეგი, რომლითაც დაგვირგვინდა რეფერენდუმი, არის დანიელი ხალხისა და მთელი ევროპის წარმატება".

ეს წარმატება ადასტურებს იმას, რომ დანია გაერთიანების წევრ სხვა ქვეყნებთან ერთად, ესწრაფვის კვლავ იაროს ევროპული კავშირის მშენებლობის გზით, აღნიშნა იტალიის საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურმა. მან თქვა, რომ ინტეგრაციისა და ტრაგიკული წარსულის დაძლევის იდეები სრულიად გასაგებია ევროპის საერთაშორისო აზრისათვის, რომელიც მხარს უჭერს მათ. სწორედ ეს არის „საფუძველი ევროპის ხალხებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისა და ყოველი ხალხის თავისთავადობისა და ტრადიციების შენარჩუნებით ეკონომიკური და სამოქალაქო განვითარების გზაზე საერთო წინსვლისათვის", აღნიშნა ბ. ანდრეატიმ.

მხარს უჭერენ მაასტრიხტის შეთანხმებებს

დანიის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა იმას, რომ მოიწონონ მაასტრიხტის შეთანხმებანი ევროპის სავალუტო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების შექმნის შესახებ. ასეთია, იუწყებიან შვეციის დეპეშათა ბიუროს კორესპონდენტები დანიის დედაქალაქიდან, სამშაბათს სკანდინავიის ამ ქვეყანაში გამართული განმეორებითი რეფერენდუმის მთავარი შედეგები. საარჩევნო უბნების დახურვიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ მიღებული მონაცემების თანახმად, პლებისციტის მონაწილე ამომრჩეველთა 56,8 პროცენტმა მხარი დაუჭირა დასავლეთ ევროპის ინტეგრაციაში ქვეყნის სულ უფრო მეტ მონაწილეობას, მაშინ როცა, 43,2 პროცენტმა უარყო ევროპის გაერთიანების ფარგლებში პარტნიორობის გაფართოების გეგმები. სულ, აღნიშნავს შვეციის დეპეშათა ბიურო, ხმის მიცემაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 85,5 პროცენტი.

ბრიუსელი. „თორმეტის ევროპა" დაუფარავი შვებით შეხვდა ცნობას, რომ სამშაბათს, დანიაში გამართულ რეფერენდუმში მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ქვეყნის მონაწილეობას ევროპის პოლიტიკურ და სავალუტო-ეკონომიკურ კავშირში. ხმის მიცემის წინ მიმომხილველთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ თუ დანიელები განმეორებით უარს იტყოდნენ ამაზე, ამას ევროპის გაერთიანებისათვის შეიძლება კატასტროფული შედეგები მოეტანა. დასავლეთ ევროპის ინტეგრაციის წინადადების მომხრეთა გამარჯვება, განაცხადა ევროპის გაერთიანებათა კომისიის თავმჯდომარემ ჟაკ დელორმა, „ხელს შეუწყობს ენერგიის მოზღვავებას, რომელიც ევროპის გაერთიანებას შესაძლებლობას მისცემს თავი დააღწიოს მოლოდინისა და მოდუნების პერიოდს".

ვაშინგტონი. სამშაბათს, საღამოს, ვაშინგტონში ვიზიტად ჩამოვიდა ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ასკარ აკაევი. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული აკადემიის ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიწვევით იგი მონაწილეობას მიიღებს საჯარო კითხვებში, აგრეთვე, შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და კონგრესის წარმომადგენლებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებს. დღეს ა. აკაევი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს უორენ კრისტოფერსა და სოფლის მეურნეობის მინისტრს მაიკ ესპის. მოელიან, რომ ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს თეთრ სახლში მიიღებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი, მაგრამ ამ შეხვედრის თარიღი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის.

(იტარ-ტასი, 19 მაისი).

მოითხოვს 15 მილიონ დოლარს მორალური ზარალისათვის

33 წლის ნიუ-იორკელი ქალი ლინ უოლფი, როგორც მან თქვა, სიცოცხლეში ხელს აღარ ახლებს სოკოს მწნილს, ასევე სხვა პროდუქტთა უმრავლესობასაც, რადგან ისინიც ზიზღს იწვევენ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ როცა, უოლფი სააღდგომოდ სტუმრების მისაღებად ემზადებოდა, ლონგ-აილენდის ერთ-ერთ მაღაზიაში სოკოს მწნილი შეიძინა. შინ, როცა ქილიდან სოკო თეფშზე გადმოიღო, კოვზი რაღაც უცნაურ საგანს შეეხო, რომელიც სულაც არ გავდა სოკოს. იგი აღმოჩნდა ადამიანის დასიებული თითი, რომელიც ბინძურ ბინტში იყო შეხვეული. „ის ისეთი საზარელი სანახავი იყო, რომ შიშისაგან შევკივლე და შორს მოვისროლე", — უთხრა უოლფმა გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" კორესპონდენტს. გადატანილი ნერვული შოკის გამო, რამდენიმე დღის განმავლობაში საჭმლის დანახვაც კი არ შეეძლო, და იგი იძულებული გახდა, დახმარებისათვის ექიმებთან წასულიყო, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო, დღემდე, განაცხადა უოლფის ადვოკატმა სტივენ სილბინმა, „ჭამის ეშინია". გასული კვირის დამლევს მათ სასამართლოში შეიტანეს სარჩელი პენსილვანიის კომპანია „ჯორჯია ფუდსის" წინააღმდეგ, რომელმაც ამგვარი „პროდუქტი" დაამზადა, უჩივლეს აგრეთვე ფირმა „ფორსტ ნეიშნლ ფუდ მარკეტს", რომელსაც მაღაზია ეკუთვნის, სადაც ეს სოკო შეიძინა. უოლფი მათგან მოითხოვს 15 მილიონ დოლარს მორალური ზარალისათვის.

ოპოზიცია ააქტიურებს მოქმედებას

თავიანთ პოზიციებს იმტკიცებენ ჩეჩნეთში ჯოხარ დუდაევისადმი ოპოზიციურად განწყობილი ძალები. ხელისუფლების სტრუქტურების მხრიდან ტოტალური საინფორმაციო ბლოკადის პასუხად მათ არა მარტო მოაგვარეს ფურცლების, პროკლამაციების გამოშვება, არამედ პერიოდულადაც დაიწყეს გამოსვლა რადიო და სატელევიზიო ეთერში საკუთარი გადამცემების მეშვეობით. ამ უკანასკნელთა ადგილმდებარეობას გულმოდგინედ მალავენ. ერთ-ერთი რაიონული გაზეთის ბაზაზე განაცხადა აგრეთვე ჩეჩნეთის პარლამენტის ორგანოს — გაზეთის „გოლოს ჩეჩენსკოი რესპუბლიკის" გამოშვება.

გამორიცხული არ არის, რომ ჯოხარ დუდაევის წინააღმდეგ მალე ოპოზიციასთან ერთად გამოვა პარლამენტიც მისი ახალი სპიკერის იუსუფ სოსლამბეკოვის მეთაურობითა და მის მიერ დანიშნული სახალხო ნდობის მთავრობა იარაგი მამედოვის ხელმძღვანელობით. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე პარლამენტი ერიდებოდა აქტიურ კონტაქტებს ოპოზიციასთან.

„ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ამას ვესწრაფვით და შემოგვაქვს წინადადება, შეიქმნას ერთიანი საკოორდინაციო ცენტრი", — უთხრა იტარ-ტასის კორესპონდენტს ოპოზიციური მოძრაობის „მარშის" („თავისუფლება") ლიდერმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, აბდულა ბუგაევმა. მისი რწმენით, ასეთი გაერთიანება მკვეთრად გააძლიერებდა იმ ძალების პოზიციას, რომლებიც ცდილობენ მშვიდობიანი საშუალებებით — ჩეჩნეთში მმართველობის ფორმის შესახებ 5 ივნისისათვის დანიშნული საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის მეშვეობით — გამოიყვანონ რესპუბლიკა ხელისუფლების კრიზისიდან.

აბდულა ბუგაევი მიიჩნევს, რომ ჩეჩენ ხალხს შეუძლია თვითონ გაერკვეს თავის საშინაო პრობლემებში ძმათამკვლელი შეტაკების გარეშე. ნებისმიერი ჩარევა გარედან, თქვა მან, მკვეთრად გაართულებს სიტუაციას, და, როგორც ეს უკვე არაერთხელ ყოფილა წარსულში, განამტკიცებს ჯოხარ დუდაევის მომხრეთა პოზიციებს.

ოპოზიციური მიტინგი გროზნოს თეატრალურ მოედანზე გრძელდება. იგი მიმდინარეობს განუწყვეტლივ 15 აპრილიდან მოყოლებული.

პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი უკანასკნელ დღეებში რაიმე აქტიურ მოქმედებას არ მიმართავს. გროზნოში კი სულ უფრო მეტად ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, რომ იგი აპირებს ჩეჩნეთი ისლამურ რესპუბლიკად გამოაცხადოს, თავისი თავი კი — იმამად. ასეთმა ნაბიჯმა შეიძლება მას შესძინოს ახალი მომხრეები მორწმუნეთა რიცხვიდან. მაგრამ გროზნოს რელიგიური ავტორიტეტები ასეთ ნაბიჯს, ალბათ, არ დაეთანხმებიან.

თითო აბზაცით

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, რომელმაც დაამთავრა ვიზიტი ბერლინში, სპლიტში გაემგზავრა. იგი განაგრძობს კონსულტაციების სერიას და სამუშაო შეხვედრებს ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებთან ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემაზე. თავის გერმანელ კოლეგასთან კლაუს კინკელთან შეხვედრაზე რუსეთის მინისტრმა განიხილა ვენს-ოუენის გეგმის დებულებათა შესრულების საკითხები.

ლონდონი. მცირე სიშორის რაკეტების წარმოებისათვის გათვალისწინებული ერაყის პროგრამა არ არღვევს სპარსეთის ყურეში ომის დამთავრების შემდეგ მიღებულ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, განაცხადა გაეროს ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, რომლებმაც დაამთავრეს ექვსკვირიანი მისია ბაღდადში. როიტერის სააგენტოს ცნობით, რომელიც იმოწმებს ჯგუფის ხელმძღვანელს ამერიკელ დენის ვინსენტს, პროგრამა შესრულების ადრეულ სტადიაშია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გამოფენა

სიახლე ქართულ გრაფიკაში

გრაფიკოს ნინო ფერაძის შემოქმედებითი გზა, მართალია, ჯერ მხოლოდ ათწლეულს მოიცავს, მაგრამ საკმაოდ ბევრის შექმნა მოასწრო თავის პროფესიაში, რომელიც ვრცელ მასალას გვაძლევს მასზე სასაუბროდ. ნინოს ხელოვნებას იცნობენ და აფასებენ არა მარტო სამშობლოში, არამედ უცხოეთშიც.

თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე ლადო ქუთათელაძის სახელოსნოში დაეუფლა ნინო ფერაძე თავისი პროფესიის სპეციფიკას. აკადემიის შემდეგ დამწყებმა გრაფიკოსმა მულტიპლიკაციური ფილმების სტუდიაში დაიწყო მუშაობა დამდგმელ მხატვრად. მისი ავტორობით გაფორმებული ათი ფილმიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს „პორტრეტი", „მიწა თავისას მოითხოვს", „მეფე და ჩიტი", „დიდი და პატარა ტალღა" (რეჟისორი ვლადიმერ სულაქველიძე), „შლიაპა" (რეჟისორი ბონდო შოშიტაიშვილი). ამ ფილმებში ნინო ფერაძე დამდგმელი რეჟისორის ჭეშმარიტ თანამოაზრედ მოგვევლინა, მისი მხატვრული გადაწყვეტა გამოირჩევა ორიგინალური ხელწერით, ნატიფი გემოვნებით, მდიდარი ფანტაზიითა და გამომგონებლობის უნარით.

მულტიპლიკაციაში ნაყოფიერი ღვაწლის პარალელურად ნინო ფერაძე გატაცებით მუშაობდა დაზგურ გრაფიკასა და ფერწერაში. პირველმა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც 1986 წელს თბილისის კინოს სახლში გაიმართა, წარმოაჩინა თვითგამოხატვის ფორმებისა და საშუალებების დაუცხრომლად მაძიებელი ხელოვანი, რომელიც თამამად ამეტყველებდა თავის თემებს.

ნინო ფერაძე რომ მაძიებელი და სიახლის გრძნობით დაჯილდოებული მხატვარია, ამის მაცნეა თბილისში ძმები სისაურების სახელოსნოში (ლესელიძის ქუჩაზე) ამ დღეებში გახსნილი მისი მეორე პერსონალური გამოფენა. ამ ექსპოზიციამ სულ სხვაგვარი, ხელწერაგანახლებული გრაფიკოსი დაგვანახა. წარმოდგენილი ოცდარვა გრაფიკული ფურცელი, ძირითადად სერიგრაფიის ნიმუშებია. სერიგრაფიის ტექნიკით ჩვენში ძალიან ცოტა მხატვარი თუ მუშაობს. ამ ტექნიკას ნინო მოსკოვში სტაჟირებისას, სენეჟის გრაფიკის სახელოსნოში გაეცნო უშუალოდ, შარშან კი ბელგიაში „ფრანს მაზერელ ცენტრ"-ის სახელოსნოში საკუთარი შესაძლებლობები გამოსცადა, შექმნა პირველი დამოუკიდებელი სერიგრაფიული ნიმუშები. სერიგრაფიული ფურცლები ჯერ ტრაფარეტის სახით იბეჭდება, მისი მხატვრული სრულქმნა კი მერე ხდება, რითაც ავტორს გაცილებით მეტი შემოქმედებითი თავისუფლება ეძლევა, ვიდრე ლითოგრაფიაზე ან ოფორტზე მუშაობისას.



მართლაც რომ საყურადღებოა ნინო ფერაძის ტექნოლოგიური ძიებები, ჩანს სერიგრაფიის ტექნიკური საშუალებების სრულყოფილი ფლობა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მხატვრული მხარე — კომპოზიციური სიახლის გრძნობა, გრაფიკის სამეტყველო ენის გაფართოება, ფერის ემოციური მნიშვნელობის გაზრდა. წარმოდგენილი სურათების ფაქტურული გამომსახველობა უაღრესად საინტერესო გრაფიკული და ფერითი მეტყველებით ხასიათდება. მხატვარს შესწევს უნარი აბსტრაქტულ კომპოზიციას განცდის რეალობა მიანიჭოს. კომპოზიციებში სხივოსნობა შემოაქვს ოქროსფერს, დენადი, მოქნილი ოქროსფერი ხაზებიდან თითქოს ჰანგის ჟღერა მოისმის, მნახველის სულსა და გონებაში ნინო ფერაძის ნამუშევრებს სინატიფის, სიმშვიდის, მშვენიერების განცდა შემოაქვს. დასამახსოვრებელია ყოველი სურათი, მაგრამ ყველაზე მეტი მშვიდულობითა და ამაღლებულობით გამოირჩევა ფერაძისეული სერიები: „ბელგიური დღიურები" და „ვარიაციები თემაზე „ბალი", სურათები: „დაუწერელი წერილები", „ხომალდი", „წყალქვეშა მოგზაურობა", „ტბა სენეჟი", „ზამთრის ბოლო დღე", „გასეირნება ღამეში", „თამაში", პოეტურ-ემოციური მუხტითა და იდუმალებით არის აღბეჭდილი ისინი, მათში ჩანს მხატვრის თავისებური, უაღრესად სუბიექტური დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროსადმი. ყოველი მათგანი სხვადასხვა ემოციას და განწყობას აღძრავს, შემოქმედის სულის მოძრაობა იკითხება მათში.



ნინო ფერაძის ვერნისაჟზე მოსულ მხატვარ-გრაფიკოს ბატონ **თამაზ ვარვარიძეს** ვთხოვეთ აზრის გამოთქმა, აი, მისეული შეფასება აღნიშნული გამოფენისა: „მთელს მსოფლიოში გრაფიკის გაზრდილი მნიშვნელობა დღესაც ნაკლებად აღიქმება ჩვენში, მით უფრო სასიხარულოა ნინო ფერაძის გამოფენასთან შეხვედრა, რომელიც, ვფიქრობ, კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი, ახალი საფეხურია გრაფიკაში თანამედროვე ტენდენციების გაცნობის გზაზე. ნინო ფერაძე ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოში, რომელიც მაღალ პროფესიულ დონეზე დაეუფლა სერიგრაფიის ტექნიკას. ექსპოზიცია თითქმის მთლიანად ამ ტექნიკით შესრულებული ნამუშევრებიდან შედგება. აღსანიშნავია ნინოს დიდი შრომისმოყვარეობა და ნაყოფიერება, რაც ბუნებრივ მონაცემებთან ერთად მისი მომავალი წარმატებების საწინდარია".

ნინო ფერაძის ამ გამოფენით, რომელიც ქართულ-გერმანული კლუბის (პრეზიდენტი ბუბა ლორთქიფანიძე) თაოსნობით გაიმართა, დაფიქსირდა მისი ბოლო დროის მხატვრული მონაპოვარი და მოინიშნა ახალი ორიენტირიც, თუ საით წავიდეს, როგორ წარმართოს შემდგომი ძიებანი.

წლეულს ნინო ამსტერდამში, ლითოგრაფიის ერთ-ერთ სახელოსნოშია მიწვეული სამი თვით სამუშაოდ, რასაც იქვე გამოფენა მოჰყვება. მანამდე კი ქართველ გრაფიკოსს ბელგიაში „ფრანს მაზერელ ცენტრში" ელიან.

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათებზე: გრაფიკოსი ნინო ფერაძე და მისი ნამუშევრები „გალობა" და „ვარდისფერი სპილო".

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ფეხბურთი:

18 მაისს, საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის 31-ე ტურის მატჩები. გთავაზობთ მათ შედეგებს: „შევარდენი-1906" — „კახეთი" — 1:0, „სამგურალი" — „დინამო" — 1:2, „მრეტები" — „ალაზანი" — 0:1; „ტორპედო" — „ცხუმი" — 6:3, „ბათუმი" — „გურია" — 1:0, „დილა" — „გორდა" — 4:0.

ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს — თბილისის „დინამოს" 65 ქულა აქვს.

მორიგი ტური 22 მაისს გაიმართება.

ევროპის სტადიონებზე

დასასრულს უახლოვდება ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები.

იტალია. ფინიშამდე 3 ტურით ადრე, „მილანი" ინარჩუნებს 4-ქულიან უპირატესობას „ინტერთან". მორიგ ტურში ორივე ფრედ ითამაშა: „მილანი" — „რომა" — 0:0, „ჯენოვა" — „ინტერი" — 1:1.

ესპანეთი. უკიდურესად მძაფრად მიმდინარეობს ჩემპიონის ტიტულისათვის დავა მარადიულ მეტოქეებს — „ბარსელონასა" და „რეალს" შორის, რომლებსაც 50-50 ქულა აქვთ. განვლილ ტურში „ბარსელონა" — დამარცხდა „ოვიედოსთან" — 0:1, ხოლო „რეალი" დაუზავდა „სელტას" — 1:1.

მოვლა გაძნელდაო, და ჭრიან!..

ზესტაფონის რაიონში კარგა ხანია მიმდინარეობს მიწების პრივატიზაცია. ადგილობრივი ხელისუფლება და სპეციალური კომისია ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ და ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ჩატარდეს.

ბევრგან უკვე დამთავრდა მიწების განაწილება, ადგილ-ადგილ არის სადავო საკითხებიც, მაგრამ გულსატკენია ის, რომ ზოგიერთი მიწის მეპატრონე, მიღებული ვენახის ფართობებში, უღვთოდ ჭრის ათეულ წლების განმავლობაში ნაფერებ ვაზს, მის ადგილზე თესავს მარცვლოვან კულტურებს, მიზეზად კი შაბიამნის შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების სიძვირეს და დეფიციტს ასახელებს...

სამწუხაროდ, ესეც მწარე სინამდვილეა, მაგრამ მაინც ქართველი კაცის ვაზისადმი ერთგულებამ უნდა გადაწონოს!...

ჰენრი შარიქაძე.

საუკუნის პროექტები

ვინ არის ალექსანდრე ქუთათელაძე?

ოცდამეერთე ასწლეულის სუპერმაგისტრალს აშენებს ქართველი მეწარმე

ევროპის, ამერიკისა და რუსეთის საქმიანი წრეები ემზადებიან საფუძველი ჩაუყარონ 18 ათასი კილომეტრი სიგრძის სუპერავტომაგისტრალის — პარიზი-ნიუ-იორკის მშენებლობას, რომელიც გაივლის ქალაქებს: ჰამბურგს, მინსკს, მოსკოვს, ირკუტსკს, იაკუტსკს, - გავა ჩუკოტკაზე, გადაკვეთს ბერინგის სრუტეს ალიასკამდე.

არ შევუდგები, როგორც მას შეარქვეს, XX და XXI საუკუნის ფანტასტიკური მშენებლობის ტექნიკურ დახასიათებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი შეაერთებს ევროპას, რუსეთს, აზიასა და ამერიკას. მასზე დასავლეთში ბევრი ითქვა, დაიწერა და მომავალშიც დაიწერება. მხოლოდ ქართველთა სასიხარულოდ და საამაყოდ უნდა განვაცხადოთ, რომ გრანდიოზული მშენებლობის იდეა ეკუთვნის და მისი განხორციელება ითავა მსოფლიოში განთქმულმა გერმანელმა მეწარმემ ალექსანდრე ქუთათელაძემ. აღსანიშნავია, რომ საორიენტაციო საპროექტო ღირებულება გიგანტური მშენებლობისა, რომლის დაწყებაც 1994 წლისთვისაა დაგეგმილი, 350 მილიარდი დოლარია. მსგავსი მშენებლობა დღემდე არ ახსოვს მსოფლიოს ისტორიას.

ვინ არის ალექსანდრე ქუთათელაძე? ყველა დონეზე მოვიკითხე ამ პიროვნების სადაურობა. მივმართე მისი გვარის წარმომადგენლებსაც. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსმა ლევან ქუთათელაძემ კონკრეტულად მის შესახებ ვერაფერი მითხრა, ერთი კი დამიდასტურა: ქუთათელაძე უძველესი გვარია, რომლის წარმოშობის ადგილებია სოფელი ივანდიდი (ხონი) და სოფელი ჩუნეში (წყალტუბო). ცხადია, მისი ძირი და ფესვები სწორედ აქედან უნდა იყოს ამოსული.

ახლახან წერილი გავგზავნეთ გერმანიაში, რათა დავადგინოთ ერის საამაყო ადამიანის სადაურობა, რომელმაც უცხოეთში საარაკო სახელი და ქონება მოიხვეჭა, მაგრამ წინაპართა სადიდებლად გვარი მაინც არ შეიცვალა. მანამდე კი, თუ ვინმემ რამე იცის ამ სწორუპოვარ მეწარმესა და ქველმოქმედზე, უდიდესი საქმის წამომწყებზე, ვთხოვთ, მოგვწეროს.

დავით ბიწაძე.

ხსოვნა

ქეთევან ბოჭორიშვილი

გარდაიცვალა ქართული თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მსახიობი ქეთევან ბოჭორიშვილი.

იგი დაიბადა 1917 წელს. მრავალფეროვანი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა გოგონა სწავლას იწყებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. აქ იგი სისტემატურად მონაწილეობს სტუდენტურ გამოფენებში.

ქეთევან ბოჭორიშვილმა პირველი თეატრალური ნათლობა მიიღო სამხატვრო აკადემიის დრამატული წრის სპექტაკლებში, სადაც აშკარად გამოვლინდა მისი აქტიორული მონაცემები — სცენური მომხიბვლელობა, ქალური სინატიფე, დახვეწილი გემოვნება, ტემპერამენტი და ლამაზი ტემბრის ხმა.

1944 წლიდან 1949 წლამდე ის დროგამოშვებით მოღვაწეობდა ოზურგეთისა და თელავის სახელმწიფო თეატრებში. ხოლო 1949 წლიდან, 30 წლის მანძილზე, გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრს ამშვენებდა. ამ თეატრში გატარებული წლები მსახიობის შემოქმედების საუკეთესო წლები იყო. აქ დაოსტატდა, გაღრმავდა, ახალი ფერები შეიძინა ქეთევან ბოჭორიშვილის თვითმყოფადმა ნიჭმა. გორის თეატრში შექმნა ქეთევან ბოჭორიშვილმა არა მარტო ამ თეატრისათვის, არამედ საერთოდ ქართული თეატრისათვის მნიშვნელოვანი სახეები: ლუიზა (შილერის „ვერაგობა და სიყვარული"), ქეთევანი (ერისთავის „სამშობლო"), ქრისტინე (ირეთელის „ქრისტინე"), ძიძია (ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა"), გვირისტინე (კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება"), გაიანე (მოსაშვილის „ჩაძირული ქვები"), სუზანა (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება"), კესო (ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი") და სხვ.

შესანიშნავი კინოსახეები შექმნა მან ფილმებში: „ჯარისკაცის მამა", „დიდედები და შვილიშვილები", „არდადაგები", „წუთისოფელი", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" და სხვა.

წავიდა ჩვენგან დიდებული მსახიობი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, უაღრესად კეთილშობილი და საოცრად მოკრძალებული პიროვნება. მისი ხსოვნა და ღვაწლი მარად დარჩება ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; სახელმწიფო კონცერნი „ქართული ფილმი"; გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

გოჩა მაღრაძე

კიდევ ერთი შესანიშნავი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეიწირა აფხაზეთის ომმა — ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ლაბრასთან ბრძოლის დროს მტრის ტყვიამ იმსხვერპლა 22 წლის ჭაბუკის, ქართველ შევარდენთა ლეგიონის ოცეულის მეთაურის გოჩა ჯემალის ძე მაღრაძის სიცოცხლე.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, მრავალ ფიცხელ ბრძოლაში გამოიჩინა გოჩამ თავი, ვაჟკაცური შემართებით. რთულ საბრძოლო ვითარებაში მას ყოველთვის შეეძლო გამოსავლის პოვნა, ამ თვისების წყალობით არაერთხელ უხსნია თანამებრძოლების სიცოცხლე. იმ საბედისწერო დღეს კი ჩვენ, მისმა მეგობრებმა, სამწუხაროდ, ვერ შევძელით მისი გადარჩენა.

გოჩა მაღრაძემ სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი მათ შორის, ვინც სამშობლოსთვის უშურველად გაიღო სიცოცხლე.

ქართველ შევარდენთა ლეგიონი.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

მიწისძვრები საქართველოში

ამ ბოლო დროს მიწისძვრები „შემოგვეჩვია". ახლახანს, 4 მაისის ღამითაც შეგვახსენა თავი. გვაინტერესებს, რამდენი მიწისძვრაა აღრიცხული საქართველოში და რა ზარალი მოიყენა მან ჩვენს ქვეყანას?

ქეთინო და გიგი თანიაშვილები,
მცხეთა, ახალუბანი.

თუმცა თანამედროვე მეცნიერებამ ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომ ადამიანი მთვარეზეც კი გასეირნა, სტიქიური უბედურებები კვლავინდებურად, ისევე როგორც შორეულ წარსულში, დღესაც შიშის ზარს სცემს ადამიანთა მოდგმას.

მოვარდება მეწყერი, გადაივლის ქარიშხალი, ადიდდება მდინარეები და ადამიანის ნატანჯ-ნაწვალებს, შექმნილსა და აშენებულს ერთი ხელის დაკვრით დაანგრევს, წალეკავს და იავარყოფს.

და მაინც სტიქიათა შორის მიწისძვრა (ძველები იტყოდნენ: მიწის ზანზარი) ერთი დიდი უბედურებათაგანია, რომელიც თან სდევს ადამიანის ცხოვრებას.

1988 წლის მიწურულს სპიტაკის (სომხეთი) დამანგრეველი მიწისძვრა თითქოს გამაფრთხილებელი ნიშანი იყო ამიერკავკასიაში მოსალოდნელი მიწისძვრებისა. და მართლაც, შემდეგი ორი წლის მანძილზე ზედიზედ დაატყდა თავს მიწისქვეშა სტიქია. მათ შორის ყველაზე მძლავრმა — 1991 წლის მიწისძვრამ კი ერთიანად დაანგრია შიდა ქართლი, მეტადრე დიდი და პატარა ლიახვის სოფლები, ყოფილი ჯავის რაიონი, მისი მოსაზღვრე საჩხერის რაიონი და რაჭის მხარე.

ადამიანები ოდითგანვე თავს დატეხილ კატასტროფებს ბუნების ღმონერ, ქვესკნელის ბოროტ ძალებს უკავშირებენ. აბა გავიხსენოთ, როგორ მოისრა ყოფილი ჯავის რაიონი (მიწისძვრის ეპიცენტრი სწორედ ამ ადგილებში იყო), როგორ განადგურდა საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, საავადმყოფოები, სკოლები, მეცხოველეობის ფერმები, სხვა შენობა-ნაგებობები.

მიწისძვრა, რომელზეც მოგახსენეთ, ყველაზე დიდი ძალისა აღმოჩნდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. დაიღუპა 200 კაცი, ასობით ადამიანი დასახიჩრდა, და მაინც მსხვერპლი შეიძლებოდა უფრო დიდი ყოფილიყო, რომ არა გაზაფხულის ნათელი, მზიანი დღე. ხალხი გარეთ იყო გამოსული, ხარობდა გაზაფხულის მოსვლით, აფერადებული მინდორ-ველებით და ამ დროს დამანგრეველი სტიქია...

ცნობილია თუ არა საქართველოს ისტორიაში სხვა ასეთი, მეტნაკლებად ძალის მიწისძვრები? რა თქმა უნდა. და ვიდრე მათ შესახებ მოგითხრობდეთ, სხვადასხვა დროს სხვა ქვეყნებში მომხდარი მიწისძვრებიც გავიხსენოთ.

ჩვენი წელთაღრიცხვის 856 წელს საბერძნეთში კორინთაში მოხდა მიწისძვრა, რომელმაც 45 ათასი კაცი იმსხვერპლა. ძველ ჩინეთში სხვადასხვა დროს შვიდი დიდი მიწისძვრის ანგარიშზე 1878000 დაღუპული მოდის. მათ შორის შენსის 1556 წლის მიწისძვრამ სულ რამდენიმე წამში 830 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა (ეს ციფრი უდიდესია მიწისძვრების ისტორიაში). ასევე სხვადასხვა დროს პორტუგალიაში სამი მიწისძვრის შედეგად 100 ათასამდე კაცი დაიღუპა, იტალიაში (ხუთი მიწისძვრა) — 261 ათასი, ჩილეში (ორი მიწისძვრა) — 44 ათასი, თურქეთში (ორი მიწისძვრა) —50 ათასი კაცი, ყველაზე დიდ, კატასტროფული ძალის და ენერგიის მიწისძვრად მიჩნეულია პორტუგალიის (ლისაბონის) 1755 წლის 1 ნოემბერს მომხდარი მიწისძვრა, რომელსაც თან ცუნამიც (ზღვის ან ოკეანის უზარმაზარი ტალღები, რომლებიც დედამიწის ქერქის დეფორმაციების შედეგად წარმოიშობა) მოჰყვა და რომლის ეპიცენტრი ზღვაში პორტუგალიის ნაპირებიდან დაახლოებით 100 კილომეტრზე იყო, როგორც გადმოგვცემენ, მიწისძვრის ბიძგები იგრძნობოდა იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ნორვეგიასა და შვეციაშიც კი — 3500 კილომეტრზე ეპიცენტრიდან. მიწისძვრის ბალიანობა კი 11-12 აღწევდა. ლისაბონში მაშინ, 230 ათასი მცხოვრებიდან 70 ათასი დაიღუპა.

ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი მიწისძვრა დაფიქსირებულია დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 1667 წელს (შემახა), რომლის დროსაც 80.000 კაცი დაიღუპა (9-10 ბალი) და ბოლოს სპიტაკის (სომხეთი) (ცნობილი მიწისძვრა 1988 წლის 7 დეკემბრის (6,9-9, 10 ბალი).

ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე უძველესი ცნობა დიდი მიწისძვრის შესახებ მოცემულია არგონავტების ძველბერძნულ მითში, რომლის მიხედვითაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI-VIII საუკუნეებში კოლხას დედაქალაქის ფაზისის (ახლანდელი ქ. ფოთი) მიდამოებში მომხდარ მიწისძვრას დიდი ნგრევასთან ერთად ადამიანების სიცოცხლეც შეუწირავს.

რაც შეეხება ოფიციალურ ცნობას („ქართლის ცხოვრება"), უდიდესი მიწისძვრა (რომელსაც ცუნამიც მოჰყოლია) მომხდარა 550 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, დღევანდელი სოხუმის მიდამოებში, და ცნობილი ისტორიული ქალაქის დიოსკურიის დაღუპვით დასრულებულა. კატასტროფის უმთავრეს მიზეზად მიწისძვრასთან ერთად ზღვის გიგანტური ტალღების დამანგრეველ მოქმედებასა და მძლავრ მეწყრულ პროცესებს მიიჩნევენ (9 (±2) ბალი); იგი ერთ-ერთი უძლიერესი მიწისძვრაა საქართველოს ისტორიაში. მეორე დაფიქსირებული მიწისძვრა საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის 139 წელსაა მომხდარი და ისევ მაშინდელი სოხუმის — სებასტოპოლისის მიდამოებში. ნგრევა, როგორც გადმოგვცემენ, დიდი ყოფილა, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია... (8 (±2) ბალი).

შემდეგ მოდის 1088 წლის 22 აპრილის თმოგვის ცნობილი მიწისძვრა, რომელიც აღდგომა დღეს მომხდარა და ბიძგები თითქმის 1 წელი გაგრძელებულა. ქალაქი თმოგვი მთლიანად განადგურდა, საუბედუროდ, ხალხიც ბევრი დაიღუპა, თუმცა ეს მიწისძვრა არ იყო დიდი (8 (± 1) ბალი).

მომდევნო დამანგრეველი მიწისძვრა 1275 წლის 14 აპრილს მომხდარა და იგი მცხეთის მიწისძვრის სახელითაა ცნობილი (თუმცა მას ზოგიერთ ძველ წყაროში თბილისის მიწისძვრასაც უწოდებენ), მიწისძვრის ეპიცენტრი მცხეთასთან ახლოს იყო და გარდა მცხეთა-თბილისისა, სხვა რაიონებიც (მათ შორის ბორჯომი და სამცხეც) საკმაოდ დააზიანა და დაანგრია.

1615 წელს კი ძლიერი მიწისძვრა მომხდარა ცაიშში (8 (± 1) ბალი), რომელმაც მხოლოდ ნგრევა გამოიწვია, ისევე, როგორც გარნის 1679 წლისა და კახეთში 1756-1856 წლებში მომხდარმა შვიდმა მიწისძვრამ, 1899 წლის 31 დეკემბერს ახალქალაქში 10 საათსა და 15 წუთზე მოხდა 8-9 ბალიანი მიწისძვრა, რომელმაც დიდი ნგრევა გამოიწვია და რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა. სწორედ ამ წელს, თბილისში შეიქმნა პირველი სეისმური სადგური და დაიწყო ყველანაირი ძალის მიწისბიძგების დაფიქსირება. შემდგომ 1905 წლის 21 ოქტომბერს, თებერდაში მოხდა 7-8 ბალიანი სიმძლავრის მიწისძვრა. მან მხოლოდ უმნიშვნელო ნგრევა გამოიწვია.

შემდგომმა ძლიერმა მიწისძვრებმა — 1908 წ. 10 დეკემბერს (ტყიბული) 1912 წ. 12 ოქტომბერს (ცხრაწყარო), 1915 წ. 14 იანვარი (დარიალის), გამოიწვია მხოლოდ მცირე ნგრევა, 1920 წლის 20 თებერვალს გორის მიწისძვრამ კი (რომელიც რიხტერის სკალით 8 ბალს აღწევდა) ქართლის ბევრი რაიონი მოიცვა. გორი თითქმის მთლიანად დაინგრა და 40 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1930 წლის 7 ნოემბერს სამეგრელო-სვანეთის ტერიტორიაზე მოხდა 6-7 ბალის, ხოლო 1935 წლის 19 იანვარს შავიზღვისპირა (სოხუმის 6-7 ბალის) მიწისძვრები, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელო ნგრევით ხასიათდება, ხოლო 1940 წლის 7 მაისის ტაბაწყურის 8-ბალიან მიწისძვრას, რომელიც 1 წუთამდე გრძელდებოდა, 15 კაცის სიცოცხლე შეეწირა. მიწისძვრაში ბიძგები ორ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. აღსანიშნავია აგრეთვე მარტვილის 1957 წლის 29 მაისის და აჭარა-გურიის 1959 წლის 20 მაისის რვაბალიანი მიწისძვრები. რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით ჩხალთის (ჩრდილო-აღმოსავლეთი აფხაზეთი) 1937 წლის 16 ივლისის 9-ბალიან მიწისძვრასაც, რომელმაც ნგრევასთან ერთად რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა.

საქართველოში მიწისძვრები, რა თქმა უნდა, შემდგომშიც იყო და ისინი ყველა დაფიქსირებულია.

საბოლოოდ, ერთი დასკვნის გამოტანის უფლებას მივცემთ თავს. ჩვენი მეცნიერების გამოკვლევების, გაანგარიშებებისა და პროგნოზების საფუძველზე, — 9, 10 და მეტი ბალის ინტენსივობით, მიწისძვრები ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, შეიძლება მოხდეს 200-დან 500 წლიწადში ერთხელ, რასაც ვერ ვიტყვით, 8, 7 და უფრო მცირებალიან მიწისძვრებზე, მაგრამ მათთან ბრძოლა გაცილებით ადვილია.

ჯანგულ მჭედლიშვილი,
გეოლოგი.

სამხედრო აკადემია აცხადებს კონკურსს

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ისტორიის კათედრა

კათედრის გამგე — 1 საშტატო ერთეული,
პროფესორი — 1 საშტატო ერთეული,
დოცენტი — 1 საშტატო ერთეული,
მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული.

ფილოსოფიისა და ეკონომიკური თეორიების საფუძვლეთა კათედრა

კათედრის გამგე — 1 საშტატო ერთეული,
უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული.

პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა

კათედრის გამგე — 1 საშტატო ერთეული,
დოცენტი — 1 საშტატო ერთეული.

ლიტერატურისა და ენების კათედრა

კათედრის გამგე — 1 საშტატო ერთეული (უცხო ენების სპეციალისტი),
დოცენტი — 1 საშტატო ერთეული (უცხო ენების სპეციალისტი),
უფროსი მასწავლებელი — 1 საშტატო ერთეული (ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი),
მასწავლებელი — 2 საშტატო ერთეული (უცხო ენების სპეციალისტი).

კონკურსის დროს პრივილეგიები მიეცემა იმ პირებს, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი და პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის სტაჟი.

პირები, რომლებიც კონკურსში მონაწილეობაზე გამოთქვამენ სურვილს, წერენ განცხადებას აკადემიის რექტორის სახელზე და თან ურთავენ შემდეგ საბუთებს:

კადრების აღრიცხვის პირად ფურცელს,
ავტობიოგრაფიას,
უმაღლესი განათლების შესახებ დიპლომის, დადგენილი ფორმით დამტკიცებულ სამეცნიერო წოდების ატესტატის და სამეცნიერო ხარისხის ასლებს,
დახასიათებას ბოლო სამუშაო ადგილიდან,
სამეცნიერო ნაშრომებისა და გამოგონებების ნუსხას,
სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შეთავსებით მუშაობა დაუშვებელია.

განცხადებების მიღება იწარმოებს 15 ივლისამდე, ყოველდღიურად, შაბათი და კვირის გარდა, 9 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 117 (ყოფილი საარტილერიო სასწავლებელი).**

ცნობებისათვის დარეკეთ: 95-15-44 ან 95-81-61.

რექტორატი.

მიწვევენ პედაგოგიურ სამუშაოზე

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული აკადემიის შექმნასთან დაკავშირებით კადრისა და თადარიგის ოფიცრებს ვიწვევთ პედაგოგიურ სამუშაოზე.

ცნობებისათვის მოგვმართეთ: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 117 (ყოფილი საარტილერიო სასწავლებელი).

დარეკეთ: 95-15-44 ან 95-81-61.

რექტორატი.

შინაური „მამლუქობა,"

ანუ უწყვეტი სპექტაკლი

ქუთაისის 11-12 მაისის ამბებმა ბევრი ვერაფერი დააკლო საქართველო-რუსეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგებს (ყოველ შემთხვევაში დღეს ასე ჩანს), მაგრამ მრავალი კითხვა წარმოშვა და ერთი მეტად მწვავე ტკივილიც დაგვიტოვა — დაიღუპნენ და დაიჭრნენ ადამიანები, დაობლდნენ ოჯახები.

ვისი წაქეზებით დატრიალდა ტრაგედია, ცნობილი არ არის. ისიც არ ვიცით, მოსკოვის შეხვედრის წინ ამ აქციას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა, თუ მხედრიონელები იქ უბრალოდ იარაღის წამოსაღებად მივიდნენ. მარჩიელობას არ დავიწყებ, რადგან ქუთაისში უკვე მუშაობს კომპეტენტური კომისია, რომელიც, იმედია, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. დღეს უნდა მივუსამძიმროთ დაღუპულთა ოჯახებს, ჩვენს კომისიას კი გორის ანალოგიური ტრაგედიის მიზეზ-შედეგების შესწავლისას დაშვებული შეცდომების გათვალისწინება ვთხოვოთ. სიმართლე, ძალიან მწარე და მტკივნეულიც რომ იყოს, არ უნდა დაიმალოს, რადგან, როგორც ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა, პოლიციის გენერალ-მაიორმა ელგუჯა ბუცხრიკიძემ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრის თანამშრომელთან საუბარში ამ ფაქტის გამო თქვა, „შესაძლებელია, მათ შორის რაღაც გარიგებაც იყო"...

რესპუბლიკაში კრიმინოგენული მდგომარეობა რომ რთულია, ამაზე უკვე ბევრი ითქვა, მაგრამ, დანაშაულისაც გააჩნია. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საყოველთაოდ აღიარებული კანონებით, ადამიანის გატაცება ანგარების მიზნით ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა, განზრახ მკვლელობის შემდეგ ყველაზე საშიში დანაშაულია.

საქართველო ამ მხრივაც გამოირჩევა. გატაცებულ ადამიანებს დღეს, ბუნებრივია, სტამბოლისა და კაიროს ბაზრებზე ვეღარ ყიდიან, მაგრამ შინაური „მამლუქობა" კვლავ ერთობ მოდაშია.

„ადამიანებზე მონადირენი" სოკოებივით მრავლდებიან. თვითმარქვია მაიორის ბედიც არ აშინებს ბევრს. შემაშფოთებელია, რომ ამ „აქციებში" არასრულწლოვანებიც მონაწილეობენ. გადამდები სენი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს მოედო. მსგავსი დანაშაულობების არაერთ შემთხვევას წინა კვირაშიც ჰქონდა ადგილი. მართალია, პოლიციამ კარგად იმუშავა და დღეისათვის თითქმის ყველა გატაცებული უვნებლად დაუბრუნდა თავის ოჯახს. მაგრამ ვიცით, რა იქნება ხვალ?! ამ მეტად საშიში სინდრომის ზრდის ტენდენციებსა და მასთან ბრძოლის პერსპექტივაზე მესაუბრება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი **დემურ მიქაძე:**

— ეს დანაშაული განსაკუთრებით თბილისში, გორში, მარნეულში, დმანისში, ბოლნისში, თეთრწყაროში, გარდაბანში, ქუთაისში, აგრეთვე რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონშია გავრცელებული, — მითხრა ბატონმა დემურმა, — შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ადამიანის გატაცება ანგარების მიზნით ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთა, ძირითადად, ორგანიზებულ ხასიათს ატარებს, ხდება ჯგუფურად და თან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით. დანაშაულთა აბსოლუტური უმრავლესობა მოქალაქეებისაგან გამორჩენის მიზნით არის ჩადენილი. ისიც სათქმელია, რომ გატაცებათა ობიექტები უმეტესად წარმოების, ვაჭრობის, ბიზნესის და სხვა შემოსავლიანი სფეროს წარმომადგენლები არიან. დამნაშავეები წარსულში ცნობილ მატერიალურად შეძლებულ პირებს, აგრეთვე წოდებულ „ჩრდილოვანი ეკონომიკის" „პატრიარქებსაც" არ ასვენებენ ხოლმე.

— ნუთუ სხვას არავის იტაცებენ, ბატონო დემურ?

— როგორ არა, რამდენიმე ცოტათი განსხვავებული შემთხვევა, ეგებ გახსოვთ, უკვე იყო. ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფები დიდი მატერიალური შესაძლებლობების არმქონე ადამიანებსაც ეტანებიან. ზოგიერთი დანაშაული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეგავლენის მოხდენასაც ემსახურება...

ახლა დროებით გამოვრთავ დიქტოფონს და წინა კვირაში მომხდარ ადამიანთა გატაცების ფაქტებზე გესაუბრებით.

პოლიციელთა ვაჟკაცობა და ოპერატიულობა რომ არა, მშობლებს 19 წლის სტუდენტ პაატა კოტრიკაძის გამტაცებლებისათვის გამოსასყიდ თანხად 12 მილიონი მანეთი უნდა გადაეხადათ! ეს ქუთაისში მოხდა. „ადამიანებზე მონადირენი" დაკავებული არიან.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცხრაკაციან ორგანიზებულ ბანდაში სამი ერთი ოჯახიდან იყო — მამა და ორი შვილი.

ქუთაისელებისაგან განსხვავებით, 15 მაისს, თბილისში არასრულწლოვანი რამაზ აგარანოვის გამტაცებლებმა მისი მშობლებისაგან 85 ათასი ამერიკული დოლარის გამოძალვა მოახერხეს. უდანაშაულობის პრეზუმფციის ხათრით ამჯერად არ დავასახელებ ყაჩაღთა გვარებს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მათ შორის პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი და პოლიციის უმაღლესი სკოლის კურსანტია.

ოზურგეთში მოსწავლის გატაცების შესახებ უკვე იცის მკითხველმა. დღეს მხოლოდ იმას დავძენ, რომ შემაშფოთებელია გატაცებაში არასრულწლოვნების მონაწილეობა. სამწუხაროდ, წინა მიმოხილვაში შეცდომა გაიპარა: იქ მოხსენიებული გიორგი დოლიძე „გამტაცებელია", „გატაცებული" კი თეიმურაზ ჩხაიძე იყო.

— პოლიცია, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს ამ ბოროტების აღსაკვეთად, — აგრძელებს საუბარს პოლკოვნიკი, — ჩვენთან, დროულად დაფიქსირებული ადამიანის გატაცების არც ერთი ფაქტი გაუხსნელი არ დარჩენილა. მოსახლეობა ხშირად ერიდება პოლიციის საქმეში ჩართვას, თვითნებურად მოქმედებს ან სულაც მიაქვს „გამოსასყიდი", „თანამშრომლობს" დამნაშავეთა სამყაროსთან და ამდიდრებს ნაძირალებს. ჩვენმა ხალხმა უნდა შეიგნოს ამგვარი მოქმედების უსუსურობა და უპერსპექტივობა. ეს სიკეთეს არ მოიტანს. კრიმინალური ელემენტების შემაერთებელი საკმაოდ ძლიერი ჯაჭვი ასე იოლად არ გაწყდება... ერთი წლის წინათ, ბოლნისში, საკუთარი სახლიდან დამნაშავეებმა ამ რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე ზ. კილოსონია მოიტაცეს და გამოსასყიდად მის ახლობლებს ხუთი მილიონი მანეთი მოსთხოვეს. ბოლოს ერთ მილიონზე შეთანხმდნენ და გატაცებიდან მეხუთე დღეს გაათავისუფლეს.

არც „მძევლადმყოფს", არც მის ახლობლებს ამ ფაქტის შესახებ არსად განუცხადებიათ. პირიქით, კატეგორიულად უარყოფდნენ ყველაფერს.

— მსგავსი შემთხვევები მრავლადაა, — დასძენს ბატონი დემური, — ბევრს პოლიცია ათავისუფლებს, მაგრამ ჩვენების მიცემის დრო რომ მოვა, პირში წყალს იგუბებენ, თვით გატაცების ფაქტსაც კი არ ადასტურებენ.

ერთი ასეთი „მოვლენის" მომსწრე მეც გავხდი. კარგად მახსოვს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მეექვსე სამმართველოს ბიჭების გუნება-განწყობილება, როცა მათ მიერ გამოხსნილ ასოციაცია „კათარზისის" პრეზიდენტ ზ. ალადაშვილს სიტყვა „ვერ დააცდენინეს". კაცი გაიტაცეს, უზარმაზარი გამოსასყიდი მოსთხოვეს, ის კი დუმდა.

მკითხველი, ალბათ, იკითხავს: ამდენი საქმე რომ გახსნა პოლიციამ ერთი ისიც გვითხარით, რამდენი დამნაშავე მიაცილა ციხის კარამდეო?

— ეს უკვე პროკურატურისა და სასამართლოს კომპეტენციაა, — ამბობს დემურ მიქაძე, — ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბევრი საქმე დაუსრულებელი რჩება და ციხის კარამდე ერთეულები თუ აღწევენ... ან კვალიფიკაციას უცვლიან დანაშაულს, ან შუაგზაზე ანებებენ თავს საქმეს. უმეტესად კი, უპასუხისმგებლო მოწმეთა ჩვენებები სპობს ძირშივე დანაშაულის საფუძველს...

გამართლებული გუშინდელი ყაჩაღები კი დღეს რომ მამა აბრამის ბატკნებად ასაღებენ თავს, ხვალ კვლავ მგლის ბილიკს დაადგებიან... თავიდან იწყება იგივე სპექტაკლი ერთი და იგივე „აქტიორების" მონაწილეობით და დასასრული არ აქვს.

ისევ დასდევს პოლიცია მგლებს, ვარდებიან მგლები ხაფანგში და არ მთავრდება მათი თარეში. ხაფანგშივე ილესავენ კბილებს და, როგორც ყოველი სპექტაკლის შემდეგ, ახალი სპექტაკლისთვის ემზადებიან...

ზაურ მაკარაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ტექსტი აწყობილია? პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА